



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine

“AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)”

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(История, Теория, Практика)”

№ 4 (20) 2011, გვერდი II



დია დიპლომატიის ასოციაციის
სამეცნიერო ჟურნალი

*Scientific magazine of
The Open Diplomacy Association*

Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

EISSN 1512-4029

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)

ს. 402



სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქოჩორაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბადათურია

პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბალათურია, ოთარ ბალათურია, რასა ბელოკაიოვე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელიუნ დრაგი, პარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რიხარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუხჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერგ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს პარდინგსი



ეურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის
პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე
პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები
გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ
ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,

I სართული, ტელ. 236-45-14,

77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.

Tel. [+995 32] 2364514

e-mail: office@odageorgia.ge

გარეკანის გაფორმება: დავით ბალათურია
ეურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:
<http://www.odageorgia.ge/page=gamocemebi>

<http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/>

ეურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო
სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>

ს ა რ ჩ ე ვ ი

თეორია

სალომე ხიზანიშვილი გლობალიზაციის პოზიტივები და ნეგატივები და საქართველო-----	5
ქეთი ჯიჯეიშვილი, მაია ყიფიანი მასების ფინანსური-----	16
ვალერია შაპარენკო “ეროვნული იდეის” ნაირსახეობები: რუსეთში (2000-2010 წწ.) ეროვნული იდეის ფორმირების საკითხებზე სამეცნიერო პრიორიტეტის ანალიზი (რუსულად)-----	23
ნანა ხარაძე საჯარო სამსახურში მიღების თავისებურებანი-----	32
ლია ნებიერიძე ეზექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების მეთოდები თამანმედროვე საქართველოში-----	41
ისტორია	
მანანა დარჩაშვილი 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოში-----	46
ევგენი კრინკო როსენბერგის კავკასიის პროგრამა, როგორც გერმანიის “აღმოსავლური პოლიტიკის” მოდერნიზაციის პროექტი (რუსულად) -----	59
ტატიანა კოპალეიშვილი საქართველოში პირველი ბაპტისტური თემის საკითხისათვის-----	67
ტატიანა ხლინინა “ჩერქეზეთის საკითხის” გადაწყვეტის საბჭოთა გამოცდილება (რუსულად)-----	75

მპრენომიგა

თეა საჩიძე

ეკონომიკური გამოწვევები საქართველოში და მათი მართვა---84

სამართალი

ლევან ოსიძე

პირველი საკანონმდებლო ნაბიჯებიდან
კონსტიტუციონალიზმის იდეამდე-----94

საზოგადოება

კახაბერ ჩინჩალაძე

ურთიერთდაპირისპირების ლექსიკურ-სემანტიკური მეთოდები
ინგლისურ ანდაზებში და ხატოვან გამოთქმებში-----104

ლელი ბიბილაშვილი

მესიჯის განსაზღვრა წარმატებული სოციალური
კამპანიებისთვის-----109

თემურ მაგსუმოვი

საგანმანათლებლო პოლიტიკა “versus” და სასკოლო რეალობა:
“წესები მოსწავლეთათვის” და დისციპლინა რევოლუციამდელი
რუსეთის საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში (რუსულად)-117

ო მ რ ი ა

სალომე ხიზანიშვილი

გლობალიზაციის პოზიტივები და ნეგატივები და საქართველო

გლობალიზაციია ადამიანური მისწაფებების შეუქცევადობის შედეგია. ასე იყო წარსულში, ასეა ახლა და ასე იქნება მომავალშიც.

ოცდამეტოთ საუკუნის გლობალიზაცია თავისი მასშტაბითა და სპეციფიკით უპრეცენდენტოა, ამიტომ მოვლენათა სწორი გააზრება და საუკუნის გამოწვევაზე აღექვატური პასუხის გაცემა აუცილებელიცაა და საჭიროც.

ერთის მხრივ, სახეზეა პრობლემები: ცივილიზაციათა ომი, უმუშევრობა, სიდარიბე, შიმშილობა, ეპოქალური დაავადებები, ატომური, ბირთვული შეიარაღება, ეკოლოგიური კატასტროფები, რომელთა მიმართ თანამედროვე მსოფლიომ უნდა გამოიჩინოს უფრო მეტი “მგრძნობელობა” და სიფრთხილე. მეორე მხრივ, მიმდინარეობს არნახული ინტეგრაცია, თავისი გვერდითი შედეგებითა და წინააღმდეგობებით. შესაბამისად იკვეთება ორი რაიონის განვითარებული შეხედულება: პირველის თანახმად, გლობალიზაცია ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და ამ ასპექტით პრობლემათა დაძლევას, მეორე თვალსაზრისით, გლობალიზაცია განიხილება ნებატიურ მოვლენად, რომელიც გაქრობით ემუქრება ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებს, მცირე ერებს, მათ კულტურულ თავისებურებებს; იგი განიხილება მთლიანად მსოფლიო განვითარების საშიშ ტენდენციად.

ფაქტია, მიუხედავად კონკრეტული დამოკიდებულებებისა, გლობალიზაციაში, ერთი შეხედვით როგორც სტიქიურ პროცესში, ჩართულია მსოფლიოს სახელმწიფოები საკუთარი განვითარების დონით, ეკონომიკური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით. მათ შორისაა ჩვენი ქვეყანა – საქართველო. ოუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მსოფლიო მოვლენებში, მათ შორის გლობალურ კულტურაში ქართული საზოგადოების ხარისხი დაბალია, საქართველოსთვის გლობალიზაცია შეიძლება ჩავთვალოთ “მომავლის ხიფათად”. ოუმცა, ისიც შეიმჩნევა, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკაში სტატეგიულ მნიშვნელობას იძენს. ამისი დასტურია ოუნდაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომი. საბოლოოდ საკითხი ასე დგას: რა ადგილი უკავია დღევანდელ საქართველოს

გლობალურ სივრცეში? გლობალიზაციის რა დადგებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაზე? ხომ არ არის საქართველო გლობალიზაციის შოქში? იქნებ დისკუსია დაგვიანებულია?

განვიხილოთ საკითხი უფრო კოქნკრეტულად.

ისტორიულად, გლობალიზაციის გარკვეული ფორმები ქველ მსოფლიოში უკვე არსებობდა. მაგალითად, რომის იმპერია, პართია, ხანის დინასტია. ამ უკანასნელის არსებობის პერიოდში დაიწყეს “აბრეშუმის გზის” მშენებლობა, რომელმაც მონღოლთა იმპერიაში უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა, რასაც მოჰყვა “ისლამის ოქროს ხანა”. “პროტოგლობალიზაციების” შემთხვევებმა დადგებითი გადენა მოახდინა ადრინდელ საქართველოზეც: ელინიზმს იძერის სამეფოს შექმნა, ხოლო ჯვაროსნულ ლაშქრობებს – ჩვენი სახელმწიფო-ებრიობის გაძლიერება და კულტურის არნახული აყვავება მოჰყვა. ეს რაც შეეხება წარსულს.

საკითხის გასარკვევად, თუ როგორია გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები, ანალიზისათვის მიგმართოთ სოციოლოგიურ ანალოგიებს. დღევანდელი სოციოლოგების კლასიფიკაციით კაცობრიობის ისტორია, ტექნოლოგიებისა და ცხოვრებაზე მათი გავლენის თვალსაზრისით, სამ – აგრარულ, ინდუსტრიალ და პოსტინდუსტრიალ ტალღად შეიძლება დაიყოს. აგრარულმა ტალღამ, რომელიც ათი ათასი წლის წინათ დაიწყო, ძირეულად შეცვალა კაცობრიობის ცხოვრების წესი და იგი “ნეოლითურ რევოლუციად” იწოდება.

აგრარული იყო ძველი აღმოსავლეთის საზოგადოება, მისი არსებობა სოფლის მეურნეობას ემყარებოდა. ხოლო მეურნეობის ნატურალური ხასიათი, თავის მხრივ, ემყარებოდა საქონლის უშუალო გაცვლას საქონელზე ფულადი მიმოქცევის განვითარებული სისტემის გარეშე. ე.ი. ეკონომიკის ბაზისი, სიმდიდრისა და კეთილდღეობის წყარო მიწის მფლობელობა იყო.

XV-XVI საუკუნიდან დედამიწის ერთ მონაკვეთზე, დასავლეთ ევროპაში, იწყება გადასვლა ინდუსტრიალ საზოგადოებაზე. ვითარდება მანუფაქტურული წარმოება, აქცენტი სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაზე გადადის. ინდუსტრიალ საზოგადოებაში წარმოების საშუალებების განვითარების საფუძველზე ხდება ნაკლები დანახარჯებით დიდი ეფექტის მქონე შედეგების მიღწევა; თვითორგანიზაციის მაღალი დონით შესაძლებელი ხდება რესურსების უფრო რაციონალურად და კონცენტრირებულად დაგროვება და გამოყენება. გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტირებას, ვიდრე პროდუქციის მოხმარებას; ყალიბდება მეტ-

ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა; თანაბრძება მოსახლეობის სოციალური წილი და იგი თანდათანობით იზრდება ქალაქის სასარგებლოდ.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღმავლობამ, რომელმაც მეტი რესურსები და გაფართოებული ბაზარი მოითხოვა, ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. ხოლო 70-იანი წლებიდან პირველ მსოფლიო ომამდე, კაპიტალისა და საქონლის მიმოქცევამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა განაპირობა ახალი ტიპის – ინდუსტრიული და პოსტინდუსრიული საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მეორე – ინდუსტრიული ტალღის ცხოვრების წესიდან ხდება გადასვლა მესამე – პოსტინდუსტრიულ ტალღაზე. განვიხილოთ პოსტინდუსტრიული საზოგადოების მახასიათებლები.

“პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ მისი დახასიათებისათვის, იმდენად ტექნოლოგიების მაღალი დონის აღნიშვნა კი არ არის არსებითი, რამდენადაც ის გავლენა, რომლებსაც ეს ტექნოლოგიები ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე”. [1]

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლა ემთხვევა კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, გადაწყვეტილებების მიღების თეორიის და სხვა მსგავსი მეცნიერებების შექმნასა და სწრაფ განვითარებას. ეს მეცნიერებები იყვალები სხვადასხვა სახის ორგანიზებულ სიმრავლეებს, აანალიზებენ მათში მიმდინარე პროცესებს და უკიდურესი განუსაზღვრელობების პირობებშიც კი ახორციელებენ ალტერნატივების ოპტიმალურ შერჩევას. ორგანიზებულ სიმრავლეთა მართვის ახალი მეთოდები, თავის მხრივ, ინტელექტუალური ტექნოლოგიების განხორციელების საფუძველი ხდება; რის გამოც პოსტინდუსტრიული საზოგადოება ინდუსტრიულზე გაცილებით მაღალი ხარისხით ახდენს რესურსების მობილიზებას. საბოლოოდ, თანამედროვე საზოგადოების მთავარ მექანიზმად ინფორმაციაზე ორიენტირებული ეკონომიკა გვვლინება. ცოდნა ახალ განზომილებას იძებს; ინფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. დ. ბელის აზრით: “...როგორც ფიზიკური შრომა და მიწა იყო აგრძარული საზოგადოების ძირითადი ცვლადები, ხოლო ინდუსტრიული საზოგადოებისა – შრომა და კაპიტალი, ისე ცოდნა და ინფორმაცია იქცევიან ძირითად ცვლადებად”. [2] პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ხდება ტექნიკისა და მეცნიერების შერწყმა და მათ საფუძველზე ტექნოლოგიის ფენომენის წარმოშობა; რაც არა

მხოლოდ ტექნიკური განვითარების ახალი დონის მიღწევაა, არამედ ინფორმაციული მომსახურების თვისებრივად ახალი ფორმის გამოძებნაა. ამ აზრს ადასტურებს კომპუტერიზებული ინფორმაციული კართობეჭყაბის შექმნა, რომელმაც შესაძლებელი გახდა ახალი ტიპის მომსახურება, სპეციალიზებული ინფორმაციული სიების გაყიდვა საბაზო მომსახურებისთვის.

მსჯელობიდან გასაგები ხდება, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება მოითხოვს განათლების სისტემის განსაკუთრებულ ორგანიზაციას. რაც, ჩვენი ქართული სინამდვილის თვალსაზრისითაც მეტად აქტუალურია.

თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში სწავლების პროცესებთან დაპავშირებით გამოიკვეთა ცნებები: პგალიფიკაცია და მეტაკვალიფიკაცია-კვალიფიკაცია გულისხმობს სწავლების შედეგად ჩამოყალიბებული ჩვევების უბრალო გამოყენებას, ხოლო მეტაკვალიფიკაცია – იმგვარ ცოდნას, რომელიც ახალი ინფორმაციის მოძებნის, სელექციის და ათვისების შესაძლებლობას იძლევა.

მაგალითად, თანამედროვე სოფლის მეურნეობის მუშაკს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ტრადიციული ჩვევები, ე.ი. კვალიფიკაცია, არამედ მეტაკვალიფიკაცია. მას უნდა შეეძლოს საჭირო ინფორმაციის მიღება, შეუროვება და დამუშავება; ინფორმაცია უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სასუქებზე ან ჰიბრიდულ თესლებზე, კომბაინსა და ტრაქტორზე, არამედ უნდა შეეძლოს აღრიცხვა და კონტროლი, კომპიუტერის მოხმარება.

საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა ინდივიდის სპეციფიკის ცვლილება. პროფესიული განათლებისა და მეტაკვალიფიკაციის გარდა, პიროვნებას მოეთხოვება სიმბოლოებით, აბსტრაქციებით ოპერეიტობის უნარი, ლოგიკური აზროვნება.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ინდივიდის შეფასების კრიტერიუმები ასეთია: ცვლილებებთან სწრაფად შეეუბის უნარი; მოქნილობა – ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე მენეჯერთან მუშაობა, საჭირო დროს ხელმძღვანელობის გაწევა; ცნობისმოყვარეობა – ინტერესი, გავლენა მოახდინონ მიმდინარე პროცესებზე; უნარი, შეინარჩუნონ თავდაჭერა გაურკვევლობის პირობებში; ერთი სპეციალობისათვის სამუდამოდ გამომუშავებული ჩვევის, იდების რამდენიმე სფეროში მუშაობის გამოცდილების ერთი სფეროდან მეორეში გადატანის უნარი; შემრიგებლისა და შუამავლის როლის შესრულების უნარი, კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედების ჩვევა;

ახალი საქმის დაწყების უნარი; უცხო ენების ცოდნა; განსხვავებულ კულტურათა გაგებისა და მათთან შეგუების უნარი; ორიენტირება უფრო მომავალზე, ვიდრე წარსულზე.

განვითარებულ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ძლიერების განმსაზღვრელი, უფრო მეტად, იქნება ზემოთ ჩამოვლილი უნარებით დაჯილდოებულ ადამიანთა რაოდენობა, ვიდრე სამხედრო ძლიერება ან ენერგორესურსების ფლობა. ამისი ნიმუშია იაპონია, შეეიცარია, სადაც სიმდიდრის მთავარი წეარო არა იმდენად ბუნებრი რესურსი, რამდენადაც მოქალაქეთა დაოსტატება, განათლება და სამუშაო დისციპლინაა რასაკეთი გენერაცია, ქართველთა ეროვნულ ხასიათში აღნიშნულთაგან არაერთი პოზიტიური თვისებაა ჩადებული. მაგრამ საჭიროა სტანდარტი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების შექმნა, რაც ხვენი ხასიათის ამ თვისებების სწორად წარმართვის საშუალებას მოგვცემს.

უდავოა, გლობალიზაცია არსებითად ცვლის მსოფლიო წესრიგს: ადამიანის ფიქტოლოგიისა და ეროვნული კულტურის მოდიფიცირებით დაწყებული, დამთავრებული ეკონომიკური პროცესების სტრუქტურული ცვლილებებით. იმის გარკვევა, თუ რამდენად დროული და აუცილებელია ამგვარი უნიფიკაცია და რამდენად შეესაბამება იგი ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ ტენდენციებს, კერძოდ, ეროვნულობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, ეროვნული ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის თვითმყოფადობის საკითხებს, საჭიროა გამოიკვეთოს თანამედროვე გლობალიზაციის ძირითადი ასპექტები, მისი პოზიტივები და ნეგატივები.

გლობალიზაციის ძირითადი ასპექტები. საუბრობენ გლობალიზაციის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებზე.

პოლიტიკური ასპექტი. ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს თამაშობს რეგიონალიზმის კონცეფცია. “რეგიონალობის” ცნება გამოხატავს კონკრეტული რეგიონის ერთობის პირობებსა და ხარისსეს. იგი შეიძლება იყოს ხანგრძლივი ენდოგენური პორიცესი, ან ნებაყოფლობითი გაერთიანება. რეგიონი არ არის უბრალოდ, გეოგრაფიული ან ადმინისტრაციული ობიექტი, მისი შინაგანი ერთიანობა და საზღვრები მუდმივად იცვლება. “რეგიონალობა” გეოგრაფიული სივრცის ტრანსფორმაციას ხიშნავს პასიური ობიექტიდან აქტიურ ობიექტამდე.

1970-იანი წლებიდან, მესამე მსოფლიო ქვეყნების განვითარების პარმონიზაციის იდეით, დაიწყო დისკუსია “ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის” დამყარებაზე. 1991 წელს, ამერიკის პრეზიდენტმა, ჯ. ბუშმა შემოიტანა ცნება “ახალი მსოფლიო

წერიგი”, რაც ტერორისტებისა და ტირანების წინააღმდეგ ომს გულისხმობს. “გლობალური ომი” ტერორიზმის წინააღმდეგ 2001 წლის 11 სექტემბერს დაიწყო.

გარდა ამისა, გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მოითხოვს უფრო მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებს. ასეთია ეპროგაგშირი. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთმანეთს სწორედ ეს ორი პარადიგმა ეჯახება: აშშ-ს ეროვნული ინტერესი და ევროპავშირის რეგიონალიზმი.

სოციალურეკონიური ასპექტი. გლობალიზაციის სოციოლოგიურ კონტექსტში განხილვისას იკვეთება ასეთი ტენდენციები: 1) უცხოელი გადარიბებული მუშების ექსპლუატაცია - დარიბი ერების წარმომადგენელთა ექსპლოატაცია მსხვილი ინდუსტრიული ძალების მიერ; 2) მანუფაქტურების შეცვლა მომსახურების სფეროთი - იაფი მუშახლის არსებობამ მდიდარი კომპანიები “აიდულა” გაეზარდათ პროდუქცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. შესაბამისი უნარების მქონე და არმქონე მუშაკებს შორის მოხდა ეკონომიკური პოლარიზაცია. რამაც გამოიწვია საშუალო ფენის შესუსტება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაბალი ფენებისათვის სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობა შემცირდა. 3) “კონტინგენტური სამუშაოს აღმავლობა” - გლობალიზაციის პროცესებმა სამუშაო ადგილები რკეანის გადაღმა გადაიტანა და საშუალო ფენა შეასუსტა, შემცირდა სრულ განაკვეთზე მომუშავე ადამიანების რიცხვი. კომპანიები სულ უფრო ნაკლებად გასცემენ დამატებით წახალისებებს, შეგბულებებს, ბონუსებს, პენსიებსა და ჯანდაცვის გარანტიებს. საშუალო ფენის ნაწილი კვლავ მუშაობს, მაგრამ მათი მსყიდველობითუნარიანობა შემცირდა. 4) პროფესიურების დასუსტება - პროფესიურებმა დაკარგა თავისი ძალა, სხვადასხვა სფეროს მუშაკები ნაკლებად წევრიანდებიან კავშირებში.

ამ ფონზე, მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს სოციალური მოძრაობების მნიშვნელობა გლობალიზაციის პროცესში. სოციალური მოძრაობა მოქმედების სპეციალურ მოდუსთა სამოქმედო კომპლექსია, პოლიტიკურად მოტივირებული და მიმართული სოციალური და კულტურული ცვლილებებისაკენ. სოციალურ მოძრაობებს ხშირად რესურსების ნაკლებობა და შიდა განხეთქილებები აზარალებს, თუმცა, მსოფლიო მმართველობაზე მათ მაინც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

გლობალიზაციის უარყოფით გალენებზე საუბრისას, უნდა განვასხვავოთ უთანასწორობა, პოლარიზაცია, სიღარიბე და უსიღეულები სიღარიბე. უთანასწორობა - ინდივიდუებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სიმდიდრის არათანაბარი ფლობაა; პოლარიზაცია

— ორ უკიდურეს პოლუსს შორის მანძილის გაზრდა; სიღარიბე — ინსტიტუციურად განსაზღვრული ნორმა, რომელიც აწესებს საარსებო შინიმუმის დონეს; უკიდურესი სიღარიბაკე — უკავშირდება გადარჩენისათვის ბრძოლას. საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, სიღარიბე და უკიდურესი სიღარიბაკე პროპორციულად ბევრგან შემცირდა, დარიბ-დატაკი ადამიანების რიცხვი უფრო მეტად გაიზარდა.

კულტურული ასპექტი. გლობალიზაცია მსოფლიო კულტურას ცვლის ორი ფუნდამენტური გზით. პირველს აღიქვამება ამერიკანიზაციის ტოლფას მოვლენად. იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ შეერთებული შტატების მედია, განსაკუთრებით ტელევიზია უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ამასთანავე, ინგლისების მსოფლიო სივრცეში დომინირებს ინგლისური ენა და ამერიკული პრტალები.

მეორე მხრივ, კონომიკური პოლიცენტრიზმის ექვივალენტია სხვადასხვა კულტურების კომბინაცია და ინტერნაციონალური ან ზე-ნაციონალური კაგშირების გადმავება. (მაგ. იაპონელებმა ეროვნული კულტურის ელემენტები გლობალური კულტურის ნაწილად აქციეს). დომინირებს აზრი, რომ გლობალიზაცია და მულტიკულტურალიზმი ერთმანეთს სულაც არ გამორიცხავს; რომ ახლად წარმოქმნილი გლობალური კულტურა მსოფლიო მედიის მიერ ვრცელდება და იგი ხდება უფრო მეტად განსხვავებული დომინანტური ერების კულტურისაგან; და კიდევ, დიდი ერების კულტურა პოლიტიკური პოლიცენტრიზმისა და მულტიკულტურალიზმის პრინციპების დანერგვის კალდაკალ ქარგავს გავლენასა და უნარს, გაანადგუროს მცირე ერების კულტურა.

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენების შესასუსტებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას. კასტელისი საუბრობს ორპირიან მახვილზე. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს გადალახონ კონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია; მეორე მხრივ, კონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, კიდევ უფრო ჩამორჩენილები ხდებიან. ამიტომ საზოგადოების უნარი, გადავიდეს “ინფორმაციულ ხანაში”, დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისიტემას — დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. გლობალიზაციის ეპოქაში განათლების სფეროში ინვესტიციების ჩადება სიმდიდრეს და ამიტომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების უველაზე მაღალ შემოსავლიან პირთა რიცხვში შედიან. ვ.ი. ცოდნა და ინფორმაცია, მეტაინფორმაციული სექტორის თანამშრომლების განსაკუთრებული როლი, აქსიომად ითვლება.

გლობალიზაციის ნეგატიური და პოზიტიური შედეგები. გლობალიზაციის პროცესების პოზიტიურად წარმართვისათვის არაერთი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მაგ. უკვე შემუშავებულია შეთანხმება ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ, დადგებულია ხელშეკრულებები ტელეკომუნიკაციებისა და ფინანსური მომსახურებების თაობაზე, მიღწეულია შეთანხმებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნაზე, ისესნება ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიდა კაპიტალისა და სავაჭრო ნაკადების გადადადგილებას. (მაგ. “აზიურმა ვეფხვებმა” – სინგაპურმა, კორეამ აჩვენეს, რომ იაფი მუშახელისა და მაღალი ტექნოლოგიების შეხამებით, ურთიერთგაცვლის გაადვილებულ პირობებებში, კონომიკური ზრდის მაჩვენებელი მაღალია).

გლობალიზაციის დადებითი შედეგებია: განათლების სფეროს განვითარება; ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება და სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება; სამრეწველო პროდუქციის სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია, საერთაშორისო კანონმდებლობის შექმნა; კონკურენციის გაღრმავებითა და გაფართოებით, როგორც საერთაშორისო ასევე ნაციონალურ დონეზე, წარმოების არნახული ზრდა; განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა; სიციცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა; ბრძოლა ეპიდემიებთან (შიდსი, ტუბერკულიოზი და სხვ); ბრძოლა ნარკომანიასა და ტერორიზმთან; ბრძოლა გლობალური დათბობის შედეგებთან.

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებია: გლობალიზაციის “შენაძენების” არათანაბარი განაწილება; ამის გამო კონფლიქტების მუქარა, რეგიონალურ, ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეებზე; (სწრაფად განვითარებადი ქვეყნები შედიან მდიდარი ქვეყნების წრეში, დარიბი ქვეყნები კი მათ უფრო მეტად ჩამორჩებიან). გლობალიზაციის დაჩქარებული ტექნების გამო, კაპიტალის, ეროვნული ბუნებრივი რესურსების “გადინება”; ეკონომიკის სრული გახსნილობის, იმპორტული საქონლით შინაგანი ბაზრის მეტისმეტად შექსების გამო, ეროვნული სახელმწიფო წარმოების მიღევადობა, ქვეყნის რესურსების ამოწურვა და შინაგანი ეკონომიკის სრული დეგრადაცია; სახელმწიფოთა უუნარობა გააკონტროლოს და მართოს საკუთარი ეკონომიკა; ნარკობიზნების, ტრეფიკინგის, არალეგალური პროდუქციის განვითარებისათვის ერთის მხრივ, ხელსაყრელი პირობების შექმნა; გლობალიზაციის პირობებში მცირე ქვეყნების ნაციონალური იდენტურობის – “კორელაციის”, ენისა და კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროება; კულტურის

კომერციალიზაცია, კულტურული ღირებულებების გაუფასეურება და ხელოვნების დარგების გადაქცევა გლობალური ბაზრის პროდუქტები; სოციალური უთანასწორობის გაღრმავება, პიროვნული შესასიათებლების დაკარგვის საშიშროება.

ნებისმიერ ქვეყანაში, საზოგადოების მწვავე კრიტიკასა და პროტესტს იწვევს სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხი, რაც ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ტრადიციულად, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქცია განიხილებოდა გასაკუთრებულ ეროვნულ ფუნქციად, (იმის მიუხედავად, თითოეული სახელმწიფო მოქმედებდა დამოუკიდებლად ოუ სხვა ქვეყნებთან კორელაციაში), ის დამოუკიდებლად წყვეტა თავდაცვისა და უსაფრთხოების ამოცანებს. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო მოკლებულია საზოგადოების წინაშე წამოჭრილ ბევრ პრობლემაზე სწრაფად რეაგირებისა და მათი დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ვინაიდან, მისი პრეროგაციებისა და უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობებზე ძლიერ გავლენას ახდენს რეგიონალური და სახელმწიფოთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმიანობა. მაგ. ფასების რეგულირებაზე გადაწყვეტილებას იღებს არა ერთი მთავრობა, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები.

მიუხედვად აღნიშნული სირთულეებისა, გლობალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყანა – საქართველო დგას ურთულესი პრობლემების წინაშე.

პატარა ქვეყნის სტატუსის მიუხედვად, გლობალიზაციის პირობებში თავისი გეოპოლიტიკური მდგრმარეობა რომ გააძლიეროს, საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობები: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, (უძველესი დროიდან იგი ასრულებდა დამაკავშირორებელ როლს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის), ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, მაღალი სამეცნიო დონე. მაგრამ მას, როგორც პატარა ქვეყანას, დამოუკიდებლად არ შეუძლია ებრძოლოს გლობალურ პრობლემებს.

პრობლემები რჩება პრობლემებად: ასეთმა ქვეყანამ გახსნილი ეკონომიკის პირობებში, როგორ უნდა გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის ფინანსური ინსტრუმენტები, როგორ შემციროს და როგორ აიცილოს ეკონომიკური შეცდომების, ქვეყნის შიგნით სოციალური უთანასწორობის რისკი, რა მეთოდებით აღუდგეს წინ უსაფუძვლო პრედიტებსა და სესხებს, როგორ შექმნას და აითვისოს ინოვაციები, როგორ გაზარდოს საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, როგორ უზრუნველყოს ნაციონალური ეკონომიკის უსაფრთხოება რეგიონალიზმის

განვითარებით, როგორ მიაღწიოს ძლიერ მეზობლებთან ურთიერთობის სტაბილიზაციას, რა ძალებით შეძლოს მეცნიერებისა და განათლების სფეროების ეფექტური რეფორმირება, რომელიც გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს წარმატებული განვითარების საფუძველი, ხოლო მისი შეწყვეტა ქვეყნის მომავლის განადგურების ტოლიასია.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია მკაცრი გამოწვევაა, ის არ არის გადაუჭრელი პრობლემა. იმისათვის, რომ თანამედროვე გლობალიზაცია წვენი სახელმწიფოსთვის სიკეთის მომტანი აღმოჩნდეს, უმთავრესია ქვეყნის სტრატეგია. მითუმეტებ, საქართველოს გეოგრაფიული მდგრადეობა, როგორც ექსისტენციალური საწყისი, ამის პირობებს იძლევა.

ლიტერატურა

References:

- 1.qarTuli sazogadoeba da evropuli Rirebulebebi. seria “evropuli Ziebani”, statiebis krebuli _ 2006. Tbilisi, 2007
- 2.evropuli kulturis ori safuZveli: Vita Contemplativa da Vita Activa. seria “evropuli Ziebani”, statiebis krebuli _ 2007. Tbilisi, 2008.
3. ulrix beki, “ra aris globalizacia?” elfis gamomcemloba, 2003.

Salome Khizanishvili
Positives and negatives of globalization and Georgia

Summary

Globalization is a tough call, but it can be solved. In order to present globalization process has brought positive results of our country, you must first meaningful national strategy with regard to the geographical position as the start of the existential, Georgia.

Keywords: Georgia, globalization, positives and negatives, meaningful national strategy, geographical position.

Reviewer: Professor Murad Shonia, Georgian Technical University

Саломе Хизанишвили
Позитивы и негативы глобализации и Грузия

Резюме

Глобализация это жесткий вызов, но и ее можно решить. Для того чтобы современный глобализационный процесс принес положительные результаты нашей стране, в первую очередь необходима осмысленная государственная стратегия с учетом географического положения, как экзистенциального начала, Грузии.

Ключевые слова: Глобализация, Грузия, позитивы и негативы, осмысленная государственная стратегия, географическое положение.

Рецензент: профессор Мурад Шониа. Грузинский технический университет.

შეთი ჯიჯეიშგილი, მაია ყიფიანი მასების ჟიზოლლობია

მასების ფსიქოლოგია განეკუთვნება იმ პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური კვლევების სფეროს, რომელიც შეისწავლის ქაოზური ერთობების, აბუნტებული მასებისა და ანარქიული ბრძოს ქცევის გამოვლინებებს, როდესაც ისინი გარკვეული დროით გვევლინებიან ერთ ფსიქოლოგიურ წყობად. პოლიტიკოსებისა და ფსიქოლოგების აზრით, ხალხის მასები და ბრძო წარმოადგენს მაგალითს ადამიანთა გაერთიანების ლოკალური ინვოლუციისა (რაიმე ორგანოს გადაგარება ანუ გადატანითი მნიშვნელობით წესრიგის მდგომარეობიდან ქაოსის მდგომარეობაში გადასვლა), რომლის დროსაც თავის ძალებს კარგავს ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური კავშირები, უკან იხევს ნორმატიული საზღვრები, იერარქიასა და სუბორდინაციის პრინციპები, შეხედულებები ზნეობასა და მორალზე, პასუხისმგებლობაზე და სხვ. თანამედროვე პირობებში გაძლიერდა ანომაციის მეთოდოლოგიური პრინციპის პვლევა, რომელიც განიხილავს მასების ფსიქოლოგიას ფსიქოპოლიტიკური რეალობის კონტექსტში. თუმცა ამ მიმართულების გაანალიზების მცდელობები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში უნდა მოვიძიოთ.

ანტიკური ხანის მოაზროვნენი ნეგატიურად აფასებდნენ ბრძოს ძალაუფლების – ოხლოკრატიის გამოვლინებებს. სოკრატე ოცდახუთი საუკუნის წინ აღნიშნავდა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად უნდა მოვძებნოთ ექსპერტები და არა დილეტანტები. მას მაგალითად მოყავს ავადმყოფობის შემთხვევები, როდესაც ადამიანები ბუნებრივად მიმართავენ ექიმს – სამედიცინო ექსპერტს. მაგრამ მაშინ, – სვამს კითხვას ფილოსოფოსი, თუკი კარგი მმართველობა გვსურს, რატომ უნდა მივმართოთ ადამიანებს, რომელთა უმეტესობა პოლიტიკურად აპათიური ან უვიცია? „თუკი ეწვიოთ ექიმს და სოხოვეთ რჩევა, როგორ იმურნალოთ, – აგრძელებს სოკრატე, – ალბათ აღშფოთდებით თუ იგი გიპასუხებთ, რომ ამის თაობაზე შემთხვევით გამვლელებს დაეკითხება და უმრავლესობის ნების მიხედვით იმოქმედს“.

ამ შედარებით სოკრატემ ხაზი გაუსვა ათენური დემოკრატიის ბრძოს ძალაუფლებაში გადაზრდის საშიშროებას.

ანტიკური პერიოდის სხვა ცნობილ მოაზროვნეებსაც სკეპტიკური დამოკიდებულება პქონდათ დემოკრატიისადმი, – „უკიდურესი დემოკრატია არის ტირანია²“ – წერს არისტოტელე თავის ნაშრომში „პოლიტიკა“. იგი მიიჩნევდა, რომ პლებისციტური დემოკრატიის დროს, როდესაც არ არსებობდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვნა და არაკომპეტენტური ხალხის ხელში ვაქტიურად უზარმაზარი უფლებამოსილება აღმოჩნდა, იყო სერიოზული საფრთხე ოხლოერაბიის ანუ ინტელექტუალურად დაბალ დონეზე მდგომი ბრძოს ხელისუფლების გაძლიერებისა. ანტიკური დემოკრატიის შემდგომმა განვითარებამ მართლაც დაადასტურა მათი დასკვნის სისწორე: დემოკრატია დაბალი წოდების – ფეტების ხევდრითი წილის გაძლიერების პირობებში სულ უფრო მეტად იქცეოდა და ბრძოს მმართველობად, რასაც შემდგომ მოსდევდა ოლიგარქული ტირანიული გადატრიალებები და დემოკრატიული ინსტიტუტების ლიკვიდაცია. ტერმინი „ადამიანი – მასა“ პირველად პოლიტიკურ მიმოქცევაში შემოიტანა დიდმა ესაპანებმა ფილოსოფოსმა, თანამედროვე ევროპული ინტელექტუალიზმის ერთ-ერთმა ბურჯამა ხოსე ორტაგა გასევგმა.

ადამიანი – მასა, კონცეფციის სახით ჩამოაყალიბა თავის შედევრში „მასების ამბოხი“ (1930-1935 წ.), ადამიანი – მასაში იგი მოდერნისტული ეპოქის პიროვნებებს გულისხმობს, რომელსაც ახასიათებს სამყაროსთან ურთიერთობის რაციონალური სტილის უარყოფა. ორტები გამოწვევით გააძლევს საზოგადოების უმცირესობისა და მასების დეტალურ დახასიათებას, რომლითაც შედგება ყველანაირი საზოგადოება. „უმცირესობა ინდივიდუუმთა ჯგუფია, თავისებურად რომ განსხვავდება ბრძოსაგან. მასა კი ადამიანების ბრძოა, ადამიანებისა, რომლებსაც არავითარი სპეციფიკურად განსხვავებული თვისებები არ გააჩნიათ.... ბრძოს ზოგადი თვისება მასა, სიმძიმე, ანუ ტვირთია, დაბლა რომ ექაჩება საზოგადოებას; ესაა ადამიანი იმდენად, რამდენადაც დანარჩენებისაგან არ განსხვავდება და ადამიანთა სახეობრივ ტიპში იმეორებს თავის თავს...“

უმრავლესობის მმართველობის ყველაზე პირდაპირი დაცვა ალექსის დე ტოკვილმა მოგვცა თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ (1935 წ.) „უმრავლესობის მორალური ძალაუფლება ნაწილობრივ ეფუძნება განმარტებას, რომლის მიხედვითაც მეტი განსჯის უნარი და სიბრძნე უპირატესად მოცემულია დიდი რაოდენობის ადამიანების ერთად შეკრებილ ჯგუფში, ვიდრე ცალკე აღებულ ინდივიდში“.

დამატებით იგი თვლიდა, რომ „უმრავლესობის მორალური ძალაუფლება ასევე ემყარება პრინციპს, რომ ბევრის ინტერესი აღემატება ცოტასას“. მიუხედავად ამისა, „უმრავლესობის მმართველობა, როდესაც იგი უმრავლესობის შეუზღუდავ ძალაუფლებას გულისხმობს, შეიძლება ბრძოს მმართველობის სინონიმურიც კი გახდეს. ის, რაც ჩვეულებრივ ტირანისაგან დაცვად, ანუ უმრავლესობის მმართველებად, აღიქმება, რაგინდ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, შეიძლება იქცეს იმად, რასაც ტოკილი უმრავლესობის ტირანის უწოდებდა.

არის თუ არა, ჭეშმარიტება იქ, სადაც უმრავლესობა იმყოფება? ამ კითხვაზე ისტორიამაც არაერთგზის გაგვცა პასუხი. შეიძლება სახარებიდანაც მოვიშველიოთ ის ეპიზოდი, როცა ხალხის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომელიც ესწრებოდა მაცხოვრის გასამართლებას, კაცისმკვლელ გარეწარ ბარაბას შეუნდო დანაშაული და იქსო ჯვარზე გასაკრავად გაიმეტა. შეიძლება ჯორდანო ბრუნოს მაგალითიც მოვიყანოთ, (ჯერ კოცონზე დამწვარი, როგორც კშმაგის მოციქული, ხოლო შემდგე წმინდანად შერაცხული), რომელმაც გაბედა და თქვა ის, რაც დედამიწის მთელი დანარჩენი მოსახლეობის წარმოდგენებს ეწინააღმდეგებოდა: ჩვენი პლანეტა მრგვალია და თავისი დერძის გარშემო ბრუნავსო. აბობოქრებული ბრძო კი, რომელიც მიიჩნევდა, რომ დედამიწა ბრტყელი იყო და ხარის რქაზე იდგა, იმის მაგივრად, რომ სიკვდილისჯილის თუნდაც ვაჟკაცობა დაეფასებინა, აგიზგიზებულ კოცონს ფიჩს აყრიდა და თან გულწრფელად ფიქრობდა, რომ კეთილ საღმრთო საქმეს ჩადიოდა.

ფრანგმა ფსიქოლოგმა გუსტავ-ლენნმა თავის შრომებში „მასების ფსიქოლოგია“ (1908) და ბრძოს ფსიქოლოგია (1907) შემოიტანა. „ფსიქოლოგიური ბრძოს“ გააზრება, რომელიც არ გულისხმობს უამრავი ადამიანის ერთდროულად ერთად ყოფნას. „ათასობით ერთმანეთისაგან მოცილებული ინდივიდი ნაცნობ მოქმენები ნაცნობ სულიერ მდგომარეობაში არიან მაგ., ეროვნულმა მოვლენებმა შესაძლოა შეიძინოს ფსიქოლოგიური ბრძოს ნიშნები, საკმარისია მათი წუთიერი შეერთებაც, რომ მათი ხასიათი მიიღებს ბრძოს მოქმედების სპეციფიკურ შტრიხებს. ცნობილი ფაქტების გავლენით მთელი ერი შეიძლება ბრძოს იქცეს“.

ლებონმა ჩამოაყალიბა „ბრძოს სულიერი ერთობის კანონი“, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ გაუცნობიერებელი ფსიქიკის რეზერვები ატყობინებენ ბრძოს განსაკუთრებული ემოციონალურ-კომუნიკაციური მდგომარეობის შერწყმას მასებთან. ეს ფაქტი ბრძოს ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს, რომელსაც ძალუძს

ნგრევა და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. მსგავსი დესტრუქციული ექსცესებისათვის მეტად სასურველია საზოგადოებრივი კრიზისის პერიოდი.

თუ წინამდოლს, ლიდერს მასების აღგზნების უნარი გააჩნია, იგი ადგილად წარმართავს მას ნებისმიერი მიმართულებით. მასის მხრივ, ამ დროს რაიმე კრიტიკული განსჯა გამორიცხულია. აღგზნებული მასის ექსტაზამდე მიყვანა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. აღგზნებულ მასას განსაკუთრებით ლიდერები იყენებენ, რომლებსაც ანგარება ამორავებთ და არა საერთო საქმე, კეთილდღეობა. მათ ეზიზღებათ ყველ ისინი, რომლებიც დროზე შენიშვნავენ მათ ანგარებით მიზნებს. აღგზნებული, ეგზალტირებული მასა ანგარიშმიუცემლად ეტრფის ბეჭდადს. იგი მისთვის უდიდესი ავტორიტეტი და ფასეულობაა, რომელსაც თავსაც კი ანაცვალებს, ოღონდ ლიდერი შენარჩუნდებს. ასეთი ბრძოსათვის ბეჭდადთან შედარებით ნებისმიერი სხვა ლირებულება, თუნდაც ყველაზე აღიარებული, ზოგადსაკაცობრიო – აზრს კარგავს.

ასეთ პირობებში საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის მოსწრავება – როგორმე ცნობიერება შეიტანონ მასის მოქმედებაში, გართულებულია. ასეთ ძალებს, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებიდან პიროვნული ორიგინტაციების გამოყოფას, ბეჭდადები, როგორც წესი, მასების აგრესიას ჟპირისპირებენ, რადგან მათ არ აწყობთ სხვა პიროვნებათა გამოყოფა, რაც შეასუსტებეს მის გავლენას ამ ბრძოზე. ანგარებიან ბეჭდადებს არ აწყობთ მასების „გაჭკვიანება“. არ აწყობთ, რადგან ბრძო ბრძო მორჩილიდან იმ ძლიერ ძალად იქცევა, რომელიც ანალიზს გაუკეთებს მიმდინარე პროცესებს. ზიზღის, აგრესის, მიუტევებლობის, შეუწყნარებლობის გარეშე მასა ძალას კარგავს. ამიტომ, ანგარებიანი ბეჭდადი ცდილობს მას არ დაუკარგოს ეს ძალა, მაგრამ ბრძო პერიოდულად მაინც ამხობს „კანონიერი“ ლიდერების ავტორიტეტს და მიკუდება იმას, ვინც მას ახალ იღუზიებს უქმნის, ახალ პროგრამას სთავაზობს და ახალ ცხოვრებას ჰპირდება.⁴

ლებონის მსგავსად დიდი გერმენელი მოაზროვნე ფრიდრიხ ნიცშეს „ელიტური კონცეფცია“ მასებს „ზედმეტ ადამიანთა კატეგორიაში აქცევს. იგი უფრო შორს მიდის და დედამიწის განთავისუფლებას მოითხოვს ამ „ზედმეტი ადამიანებისაგან. მისი კონცეფციის მიხედვით საზოგადოება იყოფა ორ ნაწილად: სულიერ არისტოკრატიად (ლიდერებად) და „ადამიანობამდელ მასად“, რომელთა ხვედრია მუდმივი ქვეშვრდომობა. ნიცშე „ზედმეტ ადამიანთა“ რიცხვს აკუთვნებს პრაქტიკულად ყველა ადამიანს, ვინც არ ამზადებს ნიადაგს ზეპაცისათვის, ვინც თავის თავს არ უცქერის

როგორც საშუალებას ზეკაცისათვის, ვისაც არ ხელეწიფება შემოქმედება, თავისთვის ამაღლება, ვინც დალატობს დედამიწას და იმედის თვალით შესცეკრის ზეცას... „ზედმეტ ადამიანთა“ რიგს განეკუთვნებიან, უპირველეს ყოვლისა, უბრალო რიგითი ადამიანები, მათი ერთობლიობა, ეგრეთწოდებული ბრბო, ზარატუსტრა (ნიკშე) ვერ მაღავს თავის მძაფრ სიძულვილს ბრბოსადმი, უბრალო, რიგითი ადამიანებისადმი: „სიცოცხლე სიხარულის წყარო, მაგრამ მოშხამულია ყოველი წყარო, რომლიდანაც ბრბო სვამს... და მრავალთ, ვინც ცხოვრებას ზურგს აქცევს, მხოლოდ ბრბოს აქციეს ზურგი: მათ არ უნდოდათ ბრბოსთან ზიარი პქონოდათ წყარო, ცეცხლი თუ ნაყოფი ხეთა“.

მე-20 ს. ერთ-ერთი უძლიერესმა ფსიქოანალიტიკოსმა ზიგმუნდ ფროიდმა ფსიქოანალიტიკური კატეგორიების ენაზე მოახდინა მასების ფსიქოლოგიისა და ადამიანის „მე-ს ანალიზი და მოგვცა ფსიქიას, როგორც ცნობიერების არაცნობიერ სურვილებთან უწყვეტი კონფლიქტური ურთიერთქმედების წყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია. მის თეორიაზე დაყრდნობით მისმა მოწაფებ ცნობილმა ფსიქოანალიტიკოსმა კარლ იუნგმა ხალხის მასის ქცევის რეგულაციურ მექანიზმს უწოდა კოლექტიური არაცნობიერი. საყოველთაო აპროორული ქცევის სქემები, ქცევის პიროვნულზედა მოდელები თრგუნავენ ადამიანთა ინდივიდუალურ ცნობიერებას და იწვევენ გენეტიკურ არქაულ ქცევით რეაქციებს, რომელსაც მოგვანებით ვ.ი. ბეხტერევმა „კოლექტიური რეფლექსები“ უწოდა. ერთგაროვანი შეფასებები და მოქმედებები ადამიანებს აერთიანებენ მონოლითურ მასაში და მკვეთრად ზრდიან მათი ერთაქტიანი იმპულსური მოქმედების ენერგიას. თუმცა, ასეთი მოქმედებები ხდება არაადაპტაციური იმ შემთხვევებში, როცა ჩნდება ცნობიერად ორგანიზებული ქცევის აუცილებლობა.

2002 წ. გამოქვეყნდა ეკა ქვეანიშვილისა და რუსიკო მაჩაიძის სტატია „კლინიკური სიმპტომები და პოლიტიკური ფსიქიატრია“, რომელსაც მოსდევს ქვესათაური „ქართული შეუგნებლობა ახალი ჰიტლერებისათვის კვარცხლბეეს ამზადებს“. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ქართველები უფრო მეტად „პოლიტიკური ხმაურის“ მოყვარული ხალხია და მათზე ზეგავლენას პოლიტიკოსები ყველაზე წარმატებულად სწორედ აგრესიული და მკვეთრი გამოხტომებით ახდენენ... ამიტომაც ასეთ საზოგადოებაში ისეთი ფიგურები ასერხებენ პოპულარობის მოპოვებას, რომლებსაც ფსიქიატრები „პატარა ჰიტლერებად“ მოიხსენიებენ და მათ საქციელში მოძალადე ისტორიული პოლიტიკური ლიდერის თვისებებს ამჩნევენ“⁵.

სამწუხაროდ, საქართველოში მასების ფსიქოლოგია კვინტენსირდება ეწ. ტამანგოს ფენომენში, რომელიც შეიძლება გამოიხატოს პრინციპით „ოღონდ ის არა და ვინც გინდა იყოს“. ეს ტერმინი მომდინარეობს ფრანგი მწერლის პროსპექტ მერიმეს ნოველა „ტამანგოდან“, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ თუ როგორ დახოცეს ზანგმა მონებმა გემის ეკიპაჟი, რომლითაც ისინი ამერიკაში გასაყიდათ მიჰყავდათ. შეურისმაძიებლები მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ, რომ ხომალდის მართვა ცოცხლად დარჩენილთაგან არავინ იცოდა. მანამდე კი ამაზე არც დაფიქრებულან.

სწორედ ამ მიზეზით და, ასევე, მკაფიო მიზნების უქონლობის ორგანიზაციული დიფუზიურობისა და იმპულსური სტერეოტიპული ქცევის გამო, როგორც ჩვენთან, ასევე გლობალური მასშტაბითაც, მასა ყოველთვის ხდებოდა და, ალბათ, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მომავალშიც გახდება მანიპულაციის ობიექტები სხვადასხვა პოლიტიკოსების, ექსტრემისტებისა და რელიგიური ფანატიკოსების მიერ.

ლიტერატურა

References:

1. O.T.M. Mabshtadt gangot politica, Tb., 2010, gv. 70
2. Aristotele, Politika, nacili I, Tb 1995, gv 39
3. Politica, tb., 1999. gv. 21
4. Xose Ortega, gaseti. Masebis amboxi. tb., 1993, gv. 6-8.
5. Gaz. „Qartuli Qronika“. 19 Agvistro. 1992
6. Gaz. „Droni“ 25 ianvari. 1992

Keti Jijeishvili, Maia Kipiani
Masses Phsycolgy

Summary

In this work is discussed the consciousness and Psychology of mass, mental, peculiarity of behavior, personal disindividualization, rediqtion of the ability of foresee the own behavior.

There is also shown the antique period's scientists' Nitshe's Khose Ortega Igaseti's, Froid's and others' Political-psychological opinions.

In this work is discussed the origin of masses and crowd and the peculiarity of their social behavior.

Keywords: Masses' Psychology, Masses' consciousness, Mental peculiarity of behavior, reduction of he ability.

Reviewer: Professor Vaja Shubitidze, Georgian Technical University

Кетеван Джиджеишвили, Майя Кипиани
Психология масс

Резюме

В представленной работе речь идет о сознании и психологии масс, психологических особенностях действий человека при массовом собрании людей – деиндивидуализация личности и снижении способности осознать последствия собственных действий.

Обсуждается представление некоторых ученых – античного периода, Ницше, Тарда, Лебона, Хосе Ортега и Гасети, Фроида и др. о политико – психологической происхождений массы и их психологических и социальных особенности действий.

Ключевые слова: Психология масс, Психологическое сознание, Деиндивидуализация личности, психологические особенности.

Рецензент: профессор Важа Шубитидзе. Грузинский технический университет

Валерия Шапаренко

Разновидности «Национальной идеи»: анализ научной печати вопросов формирования национальной идеи в России (2000 – 2010 гг.)

Тема национальной идеи становится одной из наиболее обсуждаемых в интеллектуальной среде России, появляются новые работы по данной тематике, но в большинстве своем в них исследуются отдельные стороны этого многогранного явления.

Обратимся к трактовкам национальной идеи, которые предлагаются рядом современных исследователей, разделив их на более популярные направления. Самая популярная грань национальной идеи это - «национальная идея» национальностей в России. Авторы анализируют эволюцию национально-культурной автономии, как в публикации Трофимова Е.Н.[1], начиная с Советского государства и до постсоветского периода в России. Институт национально-культурных автономий наполнился новым содержанием: многие малые народы и нацменьшинства на территории РФ обрели дополнительные возможности по сохранению своего языка, культуры, искусства и традиций. Однако практика показала новые направления законодательной работы. В государственном бюджете страны на 2008–2010 гг. отдельной строкой предусматривалось выделение средств на осуществление национальной политики, возникла необходимость более четко прописать вопросы финансирования деятельности национально культурных автономий. Депутатами был разработан законопроект «О внесении изменений в ст. 16 федерального закона «О национально-культурной автономии» [2].

В статьях Уланова В.П. [3], Шнирельман В.А., Магомедова А.А. и Джабраилова Ю.Д. затрагиваются объединяющие нацию идеи. Что может быть проще единства на основании кровного и этнического родства? «Татарская национальная идея» – это «движение к деятельности процветанию и универсализации культуры», – утверждает автор, – а так же «рациональное влияние ислама».

Работа Шнирельман В.А. анализируя, «булгарскую этногенетическая версию» показывает, что татарский этнос не однороден, и ведущиеся в Татарстане дискуссии об этнической истории способны расколоть нацию. Поэтому «в теории о слиянии субэтнических групп и их интеграции в

единую общность, безусловно, заинтересованы власти отдельных республик и национальные элиты.» [4] Работа дагестанских учёных Магомедова А.А. и Джабраилова Ю.Д. [5] посвящена рассмотрению того, как изменилось сознание современных дагестанцев, которые сейчас себя чувствуют, или должны чувствовать: представителями своего этноса (аварцами, даргинцами, кумыками, лезгинами и т.д.), дагестанцами и россиянами. Однако в современном дагестанском обществе люди охотнее идентифицируют себя с социальными, экономическими, политическими, религиозными группами, эти трансформации необходимо переосмысливать, считают учёные.

Анализируя этапы становления Бурятской национальной идеи учёный утверждает, что национальная карта является действенным механизмом для выторговывания определённых преференций со стороны федерации.[6]

В России, как показывает Кочетков. В. В.[7], было три известные попытки сконструировать национальную русскую идею. Первая, разработанная еще в XVI веке, обосновывает роль России как всемирного центра православия. Согласно второй концепции, сформулированной в XIX веке, онтологическими принципами русского бытия являются православие, самодержавие и народность. В третьей теории обосновывалась ведущая роль России в мире как первой страны, где был построен социализм. Как известно, эти три концепции обладали одним сходством: интересы личности приносились в жертву интересам властвующей элиты. По мнению автора, только на основе конституционализма с его признанием за каждым гражданином человеческого достоинства и права на частную и публичную автономию возможна выработка новой национальной идеи в России, которая освободит творческий потенциал русского народа.

Якунин В.И.,[8] Стригина С.В.,[9] Малько А.В., в своих публикациях рассматривают юридические аспекты национальной идеи. Все авторы солидарны в том, что в России проблемы государственной идеологии и национальной идеи связаны с конституционно правовым строительством. В России исторически свойственна ориентация на эмоциональность, страстная вера в идеалы, внутреннее ощущение правильности или неправильности, несправедливости. Права человека, не как объективно присущее человеку от рождения. Они определялись государством, которое решало, дать ему права или нет. Эта установка была закреплена надолго и в советский период, и существует до сих пор. «Подлинное правовое государство создает условия для того, чтобы граждане воспринимали себя хозяевами, активными участниками управления делами общества, научились держать в узде “слуг – чиновников”, усиливать позитивные и снижать негативные свойства государственности»,[10] – пишет проф. А.В. Малько. Но для того чтобы прийти к такому положению дел, необходимо в первую

очередь совершенствовать правовое сознание населения, которое находится в современной России на низком уровне.

Значительная часть учёных упирает на сплочение в России за счёт религиозного мировоззрения. Россия – многонациональное и много конфессиональное государство, в котором каждый народ имеет свой менталитет, обычаи и традиции, сложившиеся в течение столетий. Однако у нас были и есть общие ценности, которые сплачивают наше общество. Задача государства состоит в том, чтобы сплотить народ на основе общих духовно_нравственных ценностей, разделяемых большинством населения страны.[11] Автор Махоткина Н.И. отмечает, что «отношения государства и Церкви, являющиеся источником русской национальной идеи, носят на современном этапе неоднозначный характер».[12] Однако, несомненно, религиозная принадлежность как один из определяющих признаков играет в этнокультурной идентификации заметную роль. Так специалист в области Бурятской этнонациональной идеи утверждает, что именно религия «буддизма» и «практики шаманизма» стали основным инструментом в конструировании бурятского этноса. «Интерес к религиозной сфере, в особенности к чуду Итигэлова, способствует проявлению религиозной идентичности. Оно оказалось именно таким знаковым событием, которое вдохнуло новую жизнь в бурятскую национальную идею. Можно заключить, что дальнейшее ее развитие, скорее всего, будет продолжено именно в области духовно-нравственной и религиозной»[13]/

С политическим измерением национальной идеи связано понятие «суверенной демократии». Осенью 2006 г. в идеино-политическом пространстве вспыхнула продолжающаяся до сих пор острые дискуссия по поводу нового термина – «суверенная демократия». В спор быстро втянулись не только представители науки, но и политической элиты, включая высших представителей власти – страны В. В. Путина, Д. А. Медведева, С. Б. Иванова и многих других известных фигур. Учёный, анализируя данный термин, приходит к выводу, что надо ясно представлять себе всю относительность демократии, как и вообще любого социально-политического феномена. Подлинная демократия, в том числе и «суверенная», может быть там, где есть для этого необходимые условия, в первую очередь мощная экономика, способная обеспечить социальные права и свободы граждан. Голодный и социально незащищенный человек – зависимый – объект манипуляции государства. Ему нет дела до типа демократии. Он думает лишь о том, как добыть кусок хлеба и найти безопасный кров, а не о том, какая должна быть в стране избирательная система. Поэтому от того, какая власть в стране, как она относится к своим гражданам и как они к ней, зависят результаты деятельности страны и благополучия ее жителей.[14] В другой статье ««Суверенная демократия» - национальная идея России?»

автор утверждает, что термин «суверенная демократия», это особый способ объяснения действительности, попытка придать легитимность всему, что происходит в стране, но граждане не слишком понимают и принимают значение данного термина, поэтому, заключает автор, «суверенная демократия» вряд ли станет национальной идеологией страны [15]/

გლობალიზაციის პროცესში პრიორიტეტულია თუ ქვეყანა ეროვნული ბაზრების გახსნას და კარის პრინციპით იხელმძღვანელებს, სადაც მსოფლიო ბაზარი მოიყრის თავს და პირიქით.

თანამედროვე საქართველოში ეკონომიკური აღმავლობა დიდადაა დამოკიდებული რეფორმების გატარებასა და მათ შესრულებაზე, არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება, ტექნოლოგიების და ინოვაციების პოტენციალის ათვისება, რომლის საშუალებითაც საქართველო შევა მსოფლიო ეკონომიკაში როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტი. თუმცა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის აგრესის სახით მნიშვნელოვანწილად შეაფერება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. შემქმნილმა მდგომარეობამ ნათლად აჩვენა, რომ აუცილებელია საერთაშორისო ბაზრისათვის ხელსაყრელი პირობების გატარება, რომ საერთოდ გადარჩეს ჩვენი ეროვნული ეკონომიკა და მოხდეს მისი ხელახალი რეაბილიტაცია.

XXI საუკუნის მაშტაბური ეკონომიკური კრიზისი, რომელშიც ბუნებრივად აღმოჩნდა საქართველო, მოხდა ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია, მან მოიცვა გამოკვეთილი და ფარული უმუშევრობა, შექმნა კერძო საკუთრების გამოყენების სხვადასხვა არასტანდარტული მეთოდების პრივატიზაცია, რამაც მნიუშვნელოვანი წინააღმდეგობა გამოიწვია საზოგადოებაში, ჩნდება სხვადასხვა კონფლიქტური კერები ეკონომიკაში. რით აისხება პენიების ზრდა საქართველოში? როცა ეკროპაში 2000 ეკროდან 800-მდე დაეცა საპენსიო გადასახადი საბერძნეთში. ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნადაა დაცემული მოსახლეობის ცხოვრების დონის სტანდარტები, დაბალი ხელფასები, არასაიმედო სამუშაო გარემო ზრდის მასის უმაყოფილებას.

ამ პირობებში აშკარაა რომ სახელმწიფომ შეიძუშავა მყარი სტრატეგიული პროგრამა. ნათელია, რომ ქვეყანა მიდის ტურიზმის განვითარების მიმართულებით, რომლის მნიშვნელოვანი ბაზარი ჯერ კიდევ შედა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ ორიენტირებული გარე ფაქტორებზე. აშკარაა ბათუმის ზღვისპირა მნიშვნელოვან კურორტად გადაქცევის სასიმოვნო იდეა, რაც საერთო მაშტაბური გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ არსებული კურორტების უმრავლესობაზე მაინც ადგილობრივი მოსახლეობა მოდის, რაც განაპირობებს კიდევ არაკონკურენტუნარიანი გარემოს არსებობას. მაგალითად ბორჯომის კურორტები: წაღვერი, ცემი, ბაკურიანი და ა.შ. ტურიზმის გასამყარებლად თავდაპირველი აუცილებლობაა ტრადიციული ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება, კერძ დ კი სოფლის მეურნეობის, როგორც შედა ისე გარე ბაზრის ათვისების თვალიზობით. სიმინდის წარმოებამ მხოლოდ წელს მიაღწია იმ მიზნებს რომლის საშუალებითაც ის ხდება გარანტი სინიმდის

ფქვილით, არა მარტო შიდა ბაზრის დაქმაყოფილების, არამედ მზადება საექსპორტოდაც.

ეკონომიკური კონფლიქტის აღმოცენების დროს უნდა მოხდეს სიტუაციის შეფასება და მხარეთათვის მისაღები წინადაღებების შეთავაზება, რათა გადაიჭრას პრობლემა, ეს არის ხანგრძლივი პროცესი, ხანმოკლე დროში წარმოშობილი, რთული და შეიძლება ითქვას მძიმე შედეგებით და ილუზია მისა, რომ ყველაფერი წმინდა მორალურ ღირებულებებზეა დამოკიდებული არავის არ უნდა პქონდეს. ისე როგორც სახლის, მყარი ეკონომიკის შენება ხანგრძლივი პროცესია და ამ პროცესში თითოეული აგური ისე უნდა დაიღოს, რომ მომდევნოს ხელი არ შუაშალოს. შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია მოხდეს იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გაუმჯობესება, რომლებიც მიზნად უნდა ისახავდნენ ხელი შეუშალონ ეკონომიკური კონფლიქტების გადრმავებას, არსებობის შემთხვევაში და შექმნან პირობა კონფლიქტების იურიდიული ბალანსისა. დღეს სახელმწიფო ეკონომიკა დგას კაპიტალისტურ სათავეებთან, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია სტაბილური ეკონომიკური გარემოს შექმნა, რაც თავისთვავდ იქნება ეკონომიკური კონფლიქტის თავიდან აცილების მიზეზი, რადგან ტრანსფორმაციის დროს ბევრს მტკიცნეულ ნაწილზე ხდება შეხება. ამ მდგომარეობას კი ახასიათებს მაღალი ხარისხის შიდა დაბაბულობა, რომელსაც მოკლევადიანი პერსპექტივა აქვს, თუმცა ეს ახლად შემუშავებული გარემო ვერ მოგვცემს იმის გარანტისას, რომ თავიდან იქნება აცილებული ან აღმოფხვრილი კონფლიქტები. ამისათვის ფართო სამეცნიერო კვლევაა საჭირო, რომლის მეშვეობით შემუშავდება თეორია, კონკრეტული წინადაღებები და რეკომენდაციები პრობლემის მოსაგარებლად. ჩვენი მცდელობაა მცირედი წელილი შევიტანოთ ამ საკითხის თეორიულ დამუშავებაში.

ლიტერატურა

References:

1. ekonomikuri diplomati – n. babuaZe, m. papaSvili, e. baraTaSvili, i. kveselava. gamomcemloba `graali~. Tbilisi 2011
2. gregorii menqiu – ekonomikis principebi. harvardi 2008 weli.
3. ekonomikis safuZvlebi – karl mengeri. gia qarCxaZis gamomcemloba. 2006
4. msoflio ekonomika – a.g.movsesiani, s.b. ognivcevi – rusulidan Targmna SoTa veSapiZem. Tbilisi 2003.

5. g. baRaTuria - strategiuli dagegma (meTodologiuri safuZvlebi) Tbilisi. 2009. gamomcemloba `cis nami~
6. T. aquardia – ekonomikis saxelmwifo regulireba da ekonomikuri politika. Tbilisi 2005.
7. demna kvaracelia – globalizacia, suverenuli saxelmwifo, erovnuli ekonomika. Tbilisi 2003. gamomcemloba `universali~
8. beqa Tagauri – konflikti, Sefaseba, gadawyvetileba. Tbilisi 1993. gamomcemloba `mecniereba~
9. ragim andriaSvili – konfliqtebis sociologia. Tbilisi 2009.
10. Економическая Война – Ю С Курочкин – сибирское университетское издательство новосибирск 2001
11. saqarTvelos parlamentis sabiujeto ofisi. roman gociriZe – Sida konfliqtebis ekonomikuri da socialuri Sedegebi saqarTveloSi. Tbilisi 2003 welli.
12. S. malaSxia - `konfliqtebi, prognozireba: samarTlebrivi da ekonomikuri aspeqteli~ 2007.
13. a. TvalWreliZe, p.kervaliSvili, d.gegia, s.esakia, s.sanaZe – saqarTvelos ekonomikuri ganviTarebis prioritetebi: analizi da uaxlesi perspektiva. Tbilisi 2002. gamomcemloba `sani~
14. www.wordpress.com
15. www.presage.tv
16. www.economy.ge
17. www.mfa.gov.ge

**Tea Khachidze
Addressing Economic Challenges in Georgia**

Summary

The aim of my topic is to make you familiar with the general survey of economics challenges in Georgia, with the mechanism of their regulation and with the priorities for their overcome. While choosing the economics course of the country, it is important not only to develop traditional economics principles but to be oriented on the international processes as well, in order to fit it to the plans of the national economics and the country economics development.

In order to develop Georgian economics, it is important to build the country not only according to the tourism development plan but to develop agriculture as well. Nowadays, the country economics situation is in compliance with the country social development. This causes people discontent and as a result, conflict may be posed. In order to neutralize the situation, it is necessary to apply effective govern methods which will be in compliance with the international strategies as well as with the local masses.

The modern Georgia economics development mainly depends on the effectiveness of the reforms, on the rational use of the existing resources, on the use of technology and novations potentials by means of which Georgia will join the international economics as one of the important industrial country. The recent situation clearly showed that it is necessary to make favorable conditions for international market in order to save our national economics and to rehabilitate it.

Keywords: Georgia, economics challenges, reforms, national economics.

Reviewer: Professor Temur Todua, Georgian Technical University

Теа Хачидзе

Экономические вызовы Грузии и их управление

Резюме

Цель моей темы ознакомление с общим обзором вызовов экономики в Грузии, с механизмом их регулирования и с приоритетами для их преодоления. При выборе курса экономики страны важно не только развивать традиционные принципы экономики, но ориентироваться на международные процессы для ее соответствия с планами национальной экономики и развития экономики страны.

В целях развития грузинской экономики, важно строить страну не только в соответствии с планом развития туризма, а также нужно развивать сельское хозяйство. В настоящее время экономическая ситуация в стране соответствует социального развития страны. Это вызывает недовольство народа, и в результате может возникнуть конфликт. Для того, чтобы нейтрализовать ситуацию, необходимо применять эффективные методы

управления, которые будут в соответствии с международными стратегиями, а также с местными массами.

Современная развития экономики в Грузии во многом зависит от эффективности реформ, от рационального использования имеющихся ресурсов, от применения технологии и новации потенциалов с помощью которых Грузия войдет в международную экономику как одна из важнейших промышленных стран. Недавно возникшая ситуация четко показала, что необходимо создать подходящие условия для международного рынка, чтобы сохранить нашу национальную экономику и реабилитировать его.

Ключевые слова: Грузия, экономические вызовы, реформы, национальная экономика.

Рецензент: профессор Теймураз Тодуа. Грузинский технический университет.

ს ა მ ა რ თ ა ლ ი

ლევან ოსიძე
პირველი საკანონმდებლო ნაბიჯებიდან პონტიფიციონალიზმის
იდეამდე

კონსტიტუციონალიზმის იდეამ მსოფლიოში პირველი პრაქტიკული განხორციელება ამერიკის შეერთებულ შტატებში პპოვა, იგი წარმოადგენდა მრავალსაუკუნოვანი დასავლური აზროვნების შედეგების ბრწყინვალე სინთეზს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის ურთიერთობის თაობაზე, იმ საკითხებზე, რომელიც თვით ჩვენებან კაცობრიობის არსის გააზრებას მოითხოვს. კონსტიტუციაში ეპოქის გამოცდას გაუძლო და დაამტკიცა თავისი ძალა და მოქნილობა, დაადასტურა, რომ შესწევს უნარი იყოს გასსნილიც და თანაც შეუვალიც. სამოქალაქო სამსახურში შესვლისას პრეზიდენტი იქნება თუ ნებისმიერი მოხელე, ერთგულების ფიცს დებენ და ამ

ფიცს ისინი აძლევენ არა დროშასა თუ მეფეს, არა ისტორიას, რასას თუ მიწას, არამედ კონსტიტუციას.

სიტყვა კონსტიტუცია ლათინური წარმომავლობისაა და ქართულად „დაწესებულს“ ნიშნავს. დაწესება კი მის გარდაუგალ შესრულებაში გამოიხატება, რაღაც კონსტიტუციის მიღებით იწყება სრულიად ახალი ერა პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. შეიძლება ითქვას, რომ მისი დაწერისა და რატიფიკაციის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ერებმა ახალ ყაიდაზე დაიწყეს აზროვნება და ცხოვრება. იგი თამამად შეიძლება „კოპერნიკულ შემობრუნებად“ მოვნათლოთ მსოფლიო პოლიტიკურ აზროვნებასა და ცნობიერებაში.

დროთა განმავლობაში ამერიკაში 1776 წელს მიღებული „ამერიკის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომლის ავტორიც შემდგომში რიგით მესამე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი გახლდათ და 1787 წელს „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის“ მიღებით დაწებული პროცესები თანდათანობით იხვეწებოდა და ასახვას პოულობდა ახალი და უახლესი ხანის კონსტიტუციებში, ამ კუთხით მსოფლიოში მე-19 საუკუნე გამოირჩეოდა, როდესაც ნებისმიერ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის დეკლარირებისათვის კონსტიტუციის მიღება გარდაუგალ აუცილებლობად გადაიქცა.

კანონშემოქმედებითი პროცესის მოკლე ისტორიული მიმოხილვისას ჩვენ გვერდს ვერ აუგვლით კანონის არსის განსაზღვრას, ანუ რა არის კანონი, როგორ და ვინ ქმნიდა კანონებს უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, როგორ იცვლებოდა და იხვეწებოდა მისი შინაარსი და არსი. დავიწყოთ იქნეან, რომ „ბუნებით სახელმწიფოში“ ცხოვრება თავისთავად მნელად ასატანი იქნებოდა უდიდესი უძრავლესობისათვის, ყოველთვის გაიმარჯვებდა ძლიერი და დაიხაგრებოდა სუსტი, ამიტომ ძლიერ და მოაზროვნე ბელადებს არ აწყობდათ აწესილ და ქაოტურ მდგომარეობაში ცხოვრება. თავისი მომხრების თანადგომით მიმართავდნენ იძულებით დონისძიებებს და საერთო წესის დამრღვევს სჯიდნენ იმავე ხარისხის ზიანის მიუვნებით, რაც თავად ჩაიდინა, შედეგად ერთი დაზარალებულის ნაცვლად ორი მიიღებოდა და საბოლოო ჯამში ზარალდებოდა მთელი საზოგადოება, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ამ ეტაპზე ჩვენთვის აუცილებელია მივიღოთ აქსიომასავით, რომ პირველყოფილი თემური წყობილებიდან დღემდე მიღებული ნებისმიერი კანონი არის ძალდატანების პროდუქტი, იძულების შედეგად დამკვიდრებული გარკვეული „სისხლის საფასური“, საზღა-

ური, ჩადენილი თუნდაც ყოველდღიური სარჩოს მოსაპოვებლად, ანუ თავის გასატანად. საზოგადოების განვითარება კი მოითხოვდა მსგავსი პრეცენდენტებისაგან თავის დაღწევების.

შეიძლება ვთქვათ, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ თავისი ფიზიკური ძალისა თუ მოხერხებულობის მეშვეობით აიძულებდნენ სუსტებსაც და ძლიერებსაც მუდმივ კონტროლქვეშ ყოფნას და მორჩილებას, დამრღვევებს უმოწყალოდ უსწორდებოდნენ და სჯიდნენ სხვათა დასაშინებლად, სანამ მათი მცდელობა სათანადო შედეგს არ მოიტანდა და არ დამყარდებოდა სრული წესრიგი, ანუ მათი სიტყვა არ გახდებოდა კანონის ტოლფასი. ჩვენ აქ არ შევუდგებით კანონის კლასიკური განმარტებების მოტანას, ერთს კი დავსძენთ, რომ კანონი არის ობიექტური რეალობა, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს და როცა შეგრძნებებში მოგვეცემა არის მდგრადი და განმეორებადი. ასეთი კანონები შეიძლება არსებობდეს როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში და კანონშემოქმედნი რაც უფრო ნაკლებად დაარღვევებნ თავისსავე მიერ დაწესებულ მოთხოვნებს, მით უფრო უმტკიფრეულოდ მიიღებენ ისინი კანონიკურ სახეს, ანუ დარჩებან უცვლელნი, ე.ი. მდგრადი და განმეორებადი. სხვა ვითარებაში საზოგადოება ვერ მიიღებდა ისეთ სახეს, რომელსაც სახელმწიფოებრივი ჰქვია. სახელმწიფოს გააჩნია თავისი ძირითადი მასასიათებლები, როგორიცაა მიწა ანუ ტერიტორია მოსახლეობითა და სახელმწიფო ენით, ანუ საკომუნიკაციო საშუალებით, ერთიანი ეკონომიკით, კულტურითა და ფსიქიკით. სწორედ ასეთი სრული მასასიათებლების ერთობლიობას მივყაროთ სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და ცნობიერებამდე, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს მართვის მექანიზმის შემოღებით, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია. სახელმწიფო თავისი არსით არის იძულების მექანიზმი, ეს არის უნარი A-სი ზემოქმედება მოახდინოს B-ზე და აიძულოს იგი გააკეთებინის ის, რასაც თავისი ნებით არ გააკეთებდა.

„ბუნებით სახელმწიფოში“ საზოგადოების ყველა წევრი თანაბარ პირობებშია ჩაყენებული და არ არსებობს მაკონტროლებელი და სუსტი ადამიანების უპირობო დაცვის მექანიზმი, ძალაშია ბუნებითი სამართალი, არ არსებობს თანხმობა თითოეულ წევრთა შორის, ამიტომ საზოგადოებას არ გააჩნია მისი თითოეული წევრის უფლებების გარანტირებული დაცვის მექანიზმი.

დღეს ჩვენთვის თავისთვად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად, მათ გააჩნიათ ხელშეუკალი უფლებანი, რომელთა შორის უმთავრესია სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებათა

დასაცავად ადამიანები ქმნიან ხელისუფლებას, რომელიც თავის მარლოზომიერ უფლებამოსილებას მათგანვე იღებს, მათივე თანხმობით, რომ თუკი ხელისუფლების რომელიმე შტო, რომელიმე ფორმა ხელყოფს ამ მიზნებს, ხალხის უფლებაა შეცვალოს, ან გააუქმოს არსებული მმართველობა და დაამყაროს ახალი ხელისუფლება, სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს აშშ ხალხთა უფლებათა დეკლარაცია, რომელიც საფუძვლად უდევს არა ერთი სახელმწიფოს მმართველობის ფორმას და იგი სათავეს ინგლისელი ჯონ ლოკისაგან იდებს (1632-1704 წწ), მის პოლიტიკურ ფილოსოფიას ხშირად „ბუნებითი უფლებების ფილოსოფიას“ უწოდებენ. რომელიც ეყრდნობა იმის წარმოსახვას, თუ რას დაემსგავსებოდა ცხოვრება, რომ არ ყოფილიყო ხელისუფლება. ასეთ წარმოსახვით სიტუაციას ლოკი და სხვები უწოდებენ „ბუნებით სახელმწიფოს“. იმისდა მიუხედავად, არსებობდა თუ არა ოდესები ასეთი სახელმწიფო, მასზე დაფიქრება აუცილებელი იყო, რათა ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე:

1. როგორია ადამიანის ბუნება, ანუ ინდივიდუალობისა და ხასიათის რა საერთო ნიშან-თვისებები აქვთ ყველა ადამიანს. მაგ., არიან თუ არა ისინი ძირითადად ეგოისტები, თუ მიღრეკილება აქვთ იზრუნოს სხვათა კეთილდღეობაზე.
2. რა უნდა იყოს ხელისუფლების მიზანი.
3. როგორ უნდა მოიპოვონ მმართველობის უფლება მათ, ვინც ხელისუფლებას განაგებს.
4. როგორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი მოწყობა.
5. როგორი მმართველობა იმსახურებს პატივისცემას და მხარდაჭერას.
6. როგორ მმართველობას უნდა ვერინაადმდეგობებოდეთ და ვებრძოდეთ.

ყოველივე ეს კი მოასწავებდა საზოგადოების წიაღში თანაცხოვრების მექანიზმების ძიებას, ამიტომ თუკი გადავავლებთ თვალს უძველეს ცივილიზაციებს, ისინი ქმნიდნენ წერილობით კანონთა კრებულებს, რომლებსაც უტოვებდნენ შთამომავლებს და ისიც საზოგადოების მართვის მექანიზმის ფუნქციას ასრულებდა. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ყველა მათგანის შესახებ ამომწურავი ინფორმაციების მოწოდება, ამიტომ შემოვიფარგლებით ძირითადი და საკვანძო, ანუ საეტაპო ხასიათის მოვლენებით, რომელთაც გარკვეული ზემოქმედება მოახდინეს კანონსა და უპირველესად სამართლიან სამართალზე.

ახლა კი მოკლედ თვალი გადავავლოთ კანონშემოქმედებით პროცესს, რომელიც სათავეს მესოპოტამიის, იგივე შუამდინარეთის

უმველესი ცივილიზაციებიდან იღებს. ეს პროცესი შემდეგში თანდათანობით აიტაცა და სულ სხვა სიმაღლეებზე აიყვანა ძველბერძნულმა და რომაულმა ცივილიზაციამ, ხოლო შუასაუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციამ არა-ერთი კანონი შემოგვინახა, რომელთა გვერდით სამართლანად შეიძლება მოვიაზროთ ქართულ ენაზე შექმნილი კანონებიც.

ძველ ცივილიზაციებში შექმნილ კანონებს რამდენიმე ძირითადი რამ აქვთ საერთო. პირველი, ესაა სხვაობა სასჯელის იმ ზომებს შორის, რომელიც დამნაშავისათვის სოციალური წარმოშობისათვის არსებობდა. მაგალითად, იმ დროისათვის ყველგან კანონის სახით შემონახული იქნა პირველყოფილი წესი, რომლის მიხედვითაც ადამიანს, რომელმაც ვინმეს ფიზიკური ზიანი მიაყენა, ისეთივე სამაგიერო უნდა მიზღვოდა, მაგრამ თუ დამნაშავეს მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა თუ სოციალური მდგომარეობა ეკავა, იგი დაზარალებულს მხოლოდ უულად კომპენსაციას უხდიდა. მაგ., „პამურაბის კანონებში“ ეწერა, რომ „თუ ვინმე თვალს დაუზიანებს თავისუფალ ადამიანს, მაშინ მას თვითონაც უნდა დაუზიანონ თვალი, თუ იგი დაუზიანებს თვალს ვინმეს მონას, ან ამ მონას სხეულის რაიმე ნაწილს მოსტებს, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ამ მონის დირებულების ნახევარი“.

ინდოეთში ადამიანს, რომელიც მიეკუთვნებოდა ქურუმი-ბრაჟმანების უმაღლეს კასტას, არ სჯიდნენ, თუნდაც იგი „ელამდე ყოფილიყო ჩაფლული ცოდვებში“, ასეთი ბრაჟმანი უნდა გასახლებულიყო ქმედიდან ისე, რომ მისთვის ფიზიკური ტკივილი არ მიეკუნებინათ და თანაც ქონებას თან ატანდნენ, მაგრამ თუ უმდაბლეს კასტის -- შუდრას წარმომადგენელი შეურაცხყოფდა ბრაჟმას სიტყვიერად, მას ენას სჭრიდნენ.

რუსეთში თუკი ბოიარი (თავადი) ხოლოპს (მდაბიო, გლეხი) მოპკლავდა, ბოიარს უნდა გადაეხადა 5 გრივნი, ხოლო თუ ხოლოპი ბოიარს მოპკლავდა, მაშინ მას უნდა გადაეხადა 80 გრივნი, რაც ფიზიკურად ყოვლად შეუძლებელი იყო და ასეთი პირი სამუდამო მონობისათვის განწირული იყო თავის ოჯახთან ერთად.

ყველგან სახელმწიფო იდგა საზოგადოების უმაღლესი ფენების ინტერესების სადარაჯოზე. ყველაზე მკაცრად ისჯებოდნენ ისინი, ვინც გამოდიოდა ხელისუფლების წინააღმდეგ, დანაშაულს ჩადიოდა ტამრებისა და ქურუმების მიმართ, ზიანს აყენებდა ან ქურდავდა მეფეს დ მის ახლობლებს, იფარავდა გაქცეულ მონებს და ა.შ.

საზოგადოებაში გამეფებული არათანასწორუფლებიანობა ვრცელდებოდა ოჯახზეც. ეგვიპტის გარდა, სადაც შემორჩენილი იყო მატრიარქატის ნიშნები, კანონი იცავდა ოჯახის პატრიარქალურ

მოწყობას, ეს იმას ნიშავდა, რომ მთელი ქონება იყო ოჯახის უფროსის ხელში, რომელსაც გააჩნდა თავის „პატარა სახელმწიფოში“ მეურნეობის ორგანიზების უფლება, თავისი „ქვეშევრდომების“ (ოჯახის უმცროსი წევრების - ცოლის, შვილების, უმცროსი დამების და ა.შ.) დასჯის უფლება. პატრიარქალური ოჯახის დეპოტური მოწყობა მშვენივრად იღუსტრირდება იმ ფაქტით, რომ კანონით შეიძლებოდა შვილების გაყიდვა მონებად, როგორც წესი, ვალების გადახდის საფასურად. ქალს ოჯახში ჩვეულებრივად დამცირებული მდგომარეობა ეპავა. მაგ., ინდურ კანონებში საზგასმით იყო ადნიშნული, „რომ ქალი არასოდეს ვარგა დამოუკიდებელი საქმიანობისათვის“, ის კი არადა, ოჯახში ახალი რძალი როცა შემოვიდოდა, მას ქმარი აიძულებდა იგი მომსახურებოდა სექსუალური თვალსაზრისით თავის უმცროს ძმებს და ქალს უფლება არ ჰქონდა გაეპროტესტებინა, ანდა მოეთხოვა განქორწინება, გამონაკლისს წარმოადგენდა ეგვიპტე, სადაც ქალს, როცა ის თხოვდებოდა, გააჩნდა მამაკაცის თანაბარი უფლებები, იგი ინარჩუნებდა თავის ქონებას და შეეძლო განქორწინების მოთხოვნა.

ასეთი აშკარა არათანაწორუფლებიანობის დროსაც კი სახელმწიფო მაინც არ აკლებდა თავის დაცვას საზოგადოების დაბალ ფენებს. კანონი იცავდა კერძო საგუთრებას და მკაცრად სჯიდა ადამიანს ქურდობისა და სხვისი ქონებისათვის ზარალის მიეკუთხის გამო. მაგ., „პამურაბის კანონის“ მიხედვით, მეთაურს, რომელიც სელეუციდა თავისი მეომრების ქონებას, სიკვდილით სჯიდნენ. კანონი ყველაზე იცავდა ოჯახის ერთიანობას, სჯიდა ადამიანს ცოლ-ქმრული დალატისა და ოჯახის წევრებისადმი მკაცრად მოპყრობისათვის. დაცული იყო მემკვიდრეობის უფლებაც, როგორც ჩანს, პამურაბს უნდოდა დარიბოთა მდგომარეობის გაუმჯობესება და გადამხდელთა რაოდენობრივი გაზრდა, ამიტომაც მან სავალო მონობა მხოლოდ სამი წლით შემოფარგლა, მიუხედავად ვალის სიდიდისა.

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ეგვიპტეში მონებს შეეძლოთ თავშესაფრის მოპოვება ტაძრებში, მათ შეეძლოთ ეჩივლათ თავიანთი მეპატრონისათვის სისახტიერის გამო. რუსეთში ყმა გლეხებს „იურის დღეს“ 23 ნოემბერი, ანდა ერთი კვირით ადრე, ან შემდეგ „იურის დღისა“, შეეძლოთ გაქცეოდნენ თავიანთ ბატონებს. ოჯახის მონებსაც კი უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ ცოლ-შვილი და ქონება, ზოგჯერ კი სახლიც. მონობა არ იყო მემკვიდრეობითი, მაგ., ეგვიპტეში თუკი თავისუფალი მოქალაქე მონა ქალისაგან იშვილებდა შვილს, იგი თავისუფალ მოქალაქედ ითვლებოდა და სხვა შვილების მსგავსად შეეძლო მემკვიდრეობაზე პრეტენზიის

განცხადება. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებაში თანდათანობით ხდებოდა ცივილიზებულობის დონის გარკვეული ფორმირება

შესოპოტამიის სამხრეთში შემერების პირველი დასახლებები წვწ-აღ-მდე IV ათასწლეულს აღმოცენდნენ. იქაურ ქალაქებს შორის ყველაზე მეტი პატივისცემით ბაბილონი სარგებლობდა. პატარა ბაბილონის სამეფოს პირველი მმართველები მეტად ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებდნენ და უფრო ხელსაყრელ პარტნიორებს ირჩევდნენ. მდგრადმარტინი შეიცვალა მეექსე მეფის ჰამურაბის (წვწ-აღ-მდე 1792-1750 წწ) დროს. იგი გახდა ავტორი ძევლ აღმოსავლეთში ყველაზე ცნობილი კანონთა კრებულისა, რომელსაც ისტორიკოსებმა „ჰამურაბის კოდექსი“ უწოდეს. იგი 1901 წელს ქალაქ სუზაში აღმოაჩინეს ფრანგმა არქეოლოგებმა, რომელიც წარმოადგენს ქვის უზარმაზარ ფილას ჰამოსახულებითა და ლურსმნული წარწერით შესრულებული 282 კანონის ტექსტით. სწორედ ამ კანონების მეშვეობით გახდა ძირითადად ცნობილი ბაბილონის ცხოვრებისა და იმის შესახებ, თუ როგორ მართავდა ჰამურაბი სახელმწიფოს.

ჰამურაბიმ აღარ აღადგინა სამეფო მამულები და არ ჩამოართვა მიწები გლეხებს. მან გამოიყენა მიწის ის ნაკვეთები, რომელსაც თემი მას, როგორც მეფეს გამოუყოფდა. ამ მიწებზე ჰამურაბი აგზავნიდა თავის ხალხს, მეომრებსა და ე.წ. „მუშქენუს“. მუშქენუებად ითვლებოდნენ მეფესთან დაახლოებული პირები, რომლებიც მისგან იღებდნენ მიწის ნაკვეთებს, პირუტყვასა და თესლს მეურნეობის საწარმოებლად. მუშქენუების ქონების ქურდობა უურო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი რიგითი გლეხის ქონების ქურდობა. სწორედ ამ ერთგული და მეფეზე დამოკიდებული ხალხის მეშვეობით შეეძლო მეფეს სასოფლო თემებზე ზემოქმედება.

მეფემ გლეხების დავალიანებებსაც მიხედა. ადრე გლეხი გადასახადებს იხდიდა ნატურით -- მარცლეულით, ზეთით, მატყლით. ჰამურაბიმ დააწესა გადასახადი ვერცხლით, მაგრამ ყველა გლეხი ხომ არ ყიდდა ბაზარზე საქონელს, ამიტომ ბევრი მათგანი სავაჭრო აგენტებისაგან ე.წ. თამქრებისაგან სესხს იღებდნენ პროცენტებით. ვინც ვერ მოახერხებდა სესხის გადახდას, იძულებული ხდებოდა მისი რომელიმე ნაოვეავი დაეთმო მონად. ჰამურაბიმ რამდეჯერმე გააუქმა ქვეყანაში დაგროვილი ვალები, სავალო მონობა შეზღუდა სამი წლით, მაგრამ ვალების პრობლემას ვერ მოერია და ეს არც იყო გასაკვირი, რაღაც თამქრებს შორის იყო არა მარტო ვაჭრები, არამედ გადასახადების ამკრებნიც და მეფის ხაზინის დამცველებიც.

კანონთა კრებულის შესავალში პამურაბი დაპარაკობს: „მარდუქმა გამომგზავნა, რათა სამართლიანად ვმართო ხალხი და ქვეყანას ბედნიერება მოვუტანო და მაშინ მე მათ მივცი ჰეშმარიტება და სამართლიანობა და გავაუმჯობესე ხალხის მდგომარეობა.“ აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მარდუქი იყო ბაბილონელთა ყველაზე საპატივსაცემო დმურთი. ამგარად, მეფეს უნდოდა სხვადასხვა ადამიანების - თამქრების, მუშქენუს, მეომრების, უბრალო მეთემცების ინტერესების შერიგება უმაღლესი დათავის ნებაზე დაყრდნობით.

მართალია, პამურაბიმ ვერ შეძლო ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ მან პირველმა მოგვცა კანონთა კლასიფიკაცია და საფუძველი ჩაუყარა ე.წ. ორგანული კანონების მიღებას. ცალკე მიწაზე საკუთრების უფლება გამოყო, ცალკე დანაშაულთა პრევენცია და ცალკე სამართლებრივი დევნა. დღეს შეიძლება დიმილის იწვევდეს ის ფაქტი, რომ პამურაბი სიკვდილით ემუქრებოდა მიწის მფლობელს, თუ მას არ ეცოდინებოდა მისსავე ტერიტორიაზე აღმოჩნილი გვამის წარმომავლობა და მკვლელის სახელი, თუკი გვამზე ძალადობის ნიშნები იქნებოდა აღბეჭდილი... აქ, ჩემი აზრით, მთავარია ის, რომ მეფეს სურდა მკვლელობების პრევენცია. არაცივილურია ის ფაქტები, როდესაც დამნაშავე ისჯებოდა იგივე სარისხის ზიანის მიერნებით, რა ზიანიც მან მიაყენა სხვას, ასევე ისჯებოდა ექიმი არასწორი მკურნალობისათვის, შვილი თუ თავის მშობლებზე უარს იტყოდა, მას ენას ჭრიდნენ და ა.შ.

დაწყებული პამურაბის მმართველობიდან, ბაბილონი თითქმის 1200 წლის მანძილზე წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის კულტურულ და სამეცნიერო ცენტრს, მაგრამ ჩვ.წ-აღ-მდე 689 წ. იგი მთლიანად იქნა განადგურებული ასურეთის მეფის სინაპერიბის ბრძანებით. რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქი კვლავ აღადგინეს მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მეფობის (ჩვ. წ-აღ-მდე 604 -562 წწ) დროს, თუმცა ვერც ასურელები წავიდნენ შორს ამ საქმეში და „სისხლი სისხლის წილ, თვალი თვალის წილ, ხორცი ხორცის წილ...“ ძალაში დარჩა.

ძველ ეგვიპტეში თვლიდნენ, რომ სახელმწიფოში ადამიანთა შორის ურთიერთობები აგებულია მათთის, ე.ი. დვთიური სამართლი-ანობისა და წესრიგის, ჰეშმარიტების საფუძველზე, რომელ საც ამტკიცებდნენ ღმერთები და მეფეები, მისი წყალობით გადაიღასება ქაოსი და დისპარმონია. ერთ-ერთ ძველეგვიპტურ მოძღვრებაში სამართლიანობის შესახებ ნათქამია, რომ „დიდებულთა სამართლი-ანობა და მისი უპირატესობა ურყევია“, სხვა შეგონებაში, რომლის ავტორობაც ეგვიპტის ერთ-ერთ მეფეს მიეწერება, ნათქამია იმის

შესახებ, რომ მეფემ უნდა იზრუნოს ყველა თავის ქვეშევრდომზე და არა მარტო დიდებულებზე, რადგან ყველა ადამიანი „ღმერთის ნახირია“, „მისი შსგავსნი, რომლებიც მისი სხეულიდან გამოვიდნენ“. ძველი ინდოეთის კანონთა კრებულებში წერია, რომ არ

ყოფილიყო შემოღებული მპაცრი კანონები და დასჯა მათი შეუსრულებობისათვის, მაშინ „უფრო ძლიერები შეწვავდნენ სუსტებს, როგორც შამფურზე წამოგებულ თევზსაო“.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ცივილიზაციაში ცნებები „კანონი“ და „სამართლიანობა“ გაიგივებული იყო, ხოლო კანონმდებლების ამოცანები შეესაბამებოდნენ პუმანიზმის უმაღლეს გამოვლინებებს გარკვეული დოზირებით. დღევანდელი საქართველოც ვერ გაექცა მსგავს მოვლენებს, როდესაც აქლემის ქურდი და ნების ქურდიც ერთნაირად ისჯება, ანდა სახელმწიფო მოხელის, პოლიციელების ან მისი ოჯახის წევრების სიტყვიერი შეურაცხეოფა მპაცრად დასჯადია, რადგანაც მსგავსი პრეცენდენტებისაგან გამოიკვეთება დისკრიმინაციის ელემენტები, ამიტომ ამ საკითხში ფრთხილები უნდა ვიყოთ და არ დავუშვათ კანონშემოქმედებითი პროცესების ისტორიის ლაბირინთობში უპასვლა და არ გახდეს საჭირო რადიკალური დონისძიებების გატარება საკანონმდებლო საქმიანობის მსოფლიო დონეზე ასამაღლებლად, რადგანაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კონსტიტუციონალიზმის იდეამ 1787 წლის აშშ კონსტიტუციიდან აიღო სტარტი და დღეს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დეკლარაციება კონსტიტუციითავ განმტკიცებული, ამ ფაქტს ჩვენ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ე.წ. „გემის ბანიდან გადმოგდებული“ კონსტიტუციით შევურთდით, სადაც გათვალისწინებული იყო საკანონმდებლო ბაზის უკანასკნელი მიღწევები და დღეს ჩვენ რომ ჩამოვრჩეთ მსოფლიო სტანდარტებს, ამას შთამომავლობა უბრალოდ არ გვაპატიებს.

ლიტერატურა References:

1. aSS konstitucia: kompromisis xelovneba anu marTulTa mmarTveloba, Tb., 1997.
2. aSS xalxTa damoukideblobis deklaracia, Tb., 1997.
3. amerikis SeerTebuli Statebis konstitucia, Tb., 1997.

4. adamianis uflebaTa sayovelTao deklaracia, damtkicebulia da sajarod gamocxadebuli gaeros generaluri ansambleis mier 1948 wlis 10 dekembers, gamomcemloba „samSoblo“, Tb., 1972.
5. hamurabis kanonebi, internetmasalebi, wikipedia.
6. saqarTvelos konstitucia, miRebuli 1995 wlis 24 agvistos, Semdegi cvlilebebiTa da damatebebiT, Tb., 2010.
7. konstitucionalizmis problemebi, a. demetraSvilis redaqciiT, Tb., 2010.

Livan Osidze

From the first legislative steps to the idea of constitutionalism

Summary

In the first legislative acts of the ancient civilizations legitimized legal inequality of people based on their social status. Legislators more valued their lives and property than the lives and property of the social poor. Against them in the main function principle of "an eye for an eye..." That is, they punished severely.

The ideas of constitutionalism originated with the United States Constitution (ratified by the State of Delaware December 7, 1787). It is the same - the first constitution in the modern sense. Today, the declaration of the sovereignty of any

state is fixed by the Constitution. The ideas of constitutionalism today are irreversible.

Keywords: legislative acts, idea of constitutionalism, United States Constitution

Reviewer: Professor Vaja Shubitidze, Georgian Technical University

Леван Осидзе

От первых законодательных шагов до идеи конституционализма

Резюме

В первых законодательных актах древних цивилизаций узаконено правовое неравенство людей, исходя из их социального положения. Законодатели дороже ценили свою жизнь и имущество, чем жизнь и имущество социально неимущих слоев населения. По отношению к ним в основном действовал принцип «глаз за глаз...», то есть их карали строже.

Идеи конституционализма берут свое начало с конституции США (рассмотренная штатом Делавэр 7 декабря 1787 года). Она же — первая конституция в современном смысле этого понятия. Сегодня декларирование суверенитета любого государства закрепляется конституцией. Идеи конституционализма сегодня имеют необратимый характер.

Ключевые слова: законодательные акты, идеи конституционализма, конституция США.

Рецензент: профессор Важа Шубитидзе. Грузинский технический университет

ს ა ზ მ თ ბ ა დ ლ ა ბ ა

გახაბერ ჩიხჩალაძე
ურთიერთდაკირისაპირების დემსიგურ-სემანტიკური მთოლემი
06ბლისურ ანდაზებში და ხატოვან გამოიქვება

ანდაზები და ხატოვანი თქმები – კომუნიკაციის ერთეულია. ანდაზა მოისაზრება როგორც მოკლედ გადმოცემული ეროვნული აზროვნება, რომელსაც ახასიათებს პირდაპირი და ირიბი (ფიგურალური) გადმოცემა ან მხოლოდ ირიბი, და გრამატიკაში წარმოადგენებს სრულფასოვან წინადადებას. ხატოვანი გამოიქვება

მოისახოვდა, როგორც მოკლედ გადმოცემული ეროვნული აზრი, რომელსაც აქვს მხოლოდ პირდაპირი სახე, და გრამატიკაში წარმოადგინს სუფლასოვან წინადაღებას.

ა. კუნინს, ს. გოგრინს და სხვა ენათმეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სხვაობა ანდაზებსა და ხატოვან გამოთქმებს შორის იმაშია, რომ ანდაზა გამოხატავს ზოგად აზრს, ხოლო ხატოვანი გამოთქმა – პირადი ხასიათის მოსაზრებაა. სხვა აზრის მიხედვით (ო. შიროკოვა) ანდაზა მდგრადი ეროვნული მოსაზრებაა, რომელსაც არ აქვს გადატანითი მნიშვნელობა.

ლინგვისტთა უმრავლესობა ანდაზებსა და ხატოვან თქმებს ფრაზეოლოგიის საგნად მიიჩნევს, რადგან მათ აქვთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან ისეთი საერთო თვისებები, როგორიცაა მდგრადობა და ადქმა.

როგორც ფრაზეოლოგიურ შერწყმაში, მდგრადობა და მარტივი
ადქმა ანდაზებში და ხატოვან გამოთქმებში განისაზღვრება ისეთი
თვისებებით, როგორიცაა: რითმი, განმეორება, ალიტერაცია, ასევე
სტილისტიკური ხერხებით, რომლებიც აგებულია შედარებაზე და
დაპირისპირებაზე.

უბრალო წინადაღებისგან განსხვავებით, ანდაზები და ხატოვანი თქმები არ პროდუცირდება ზეპირმტყველებაში, ხოლო ფუნქციონერებენ, როგორც მზა ერთეულები, ანუ მათ იყენებენ საუბრის დროს, როგორც უკვე გამზადებულ და ცნობილ სიჩქარეთშერწყმას.

მეორეს მხრივ, ანდაზები და ხატოვანი გამოთქმები განსხვავდება ფრაზეოლოგიური ბრუნვებისგან იმით, რომ წარმოადგენენ წინადაღებას, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეული არის სიტყვათშერწყმა.

ფრაზეოლოგიური ერთეულის აზრობრივ საფუძვლად ითვლება – გაგება; ხოლო ანდაზებისა და ხატოვანი გამოთქმების – განსჯა. თავის თავად ანდაზები და ხატოვანი გამოთქმები არის ფრაზეოლოგიური ბრუნვის წყარო. მათი ცალკეული ნაწილების ხშირი მოხმარების გამო ისინი იქცევიან ფრაზეოლოგიურ ერთეულებად.

ანდაზებისა და ხატოვანი თქმების სინტაქსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირად ისინი წარმოადგენენ სრულფასოვან მტკიცებით წინადადებას.

მაგ.: A bargain can never be bankrupt; a fair face may hide a foul etc.
 ანდაზებში და ხატოვან გამოთქმებში იშვიათად გვევლინება კლიატიური წინადაღები. მაგ.: Out of sight, out of mind; No cross, no

crown. მაგრამ უკანასკნელიც პი ვერ ტრანსფორმირდება ერთ სიტყვად.

სხვა სიტყვებით, ანდაზები და ხატოვანი გამოთქმები, ფრაზეოლოგიური შერწყმისაგან განსხვავებით, ყოველთვის ორწევრიანია, რაც გვაძლევს საშუალებას წარმოვადგინოთ ისინი წინადაღებად. როგორც ცნობილია, წინადაღება შეიძლება იყოს წარმოდგენილი სამი კომუნიკაციური სახით: მტკიცებითი, უარყოფითი, კითხვითი. უკანასკნელი ტიპი არ არის დამასასიათებელი ანდაზებისთვის, რასაც განაპირობებს მათი კომუნიკაციური მიმართულება: ანდაზები განაზოგადებენ ადამინურ გამოცდილებას, გამოაქვთ შედეგი ადამიანური გამოცდილებიდან და არიგებენ. გამონაკლისია მხოლოდ შემდეგი ანდაზა: “Can the leopard change his spots?” რომელიც კითხვითია მხოლოდ ფორმით, ხოლო კომუნიკაციური მიმართულებით წარმოადგენს მტკიცებას.

შევადაროთ: Can the leopard change his sports?

The leopard can't change his spots.

ასევე შევადაროთ:

Adam delved and Eva span who was then a/the gentleman?

Does your mother know you are out?

რადგან ანდაზები და ხატოვანი გამოთქმები არის წინადაღება, ისინი წარმოადგენენ აზრობრივ და ინტონაციურ სრულყოფილებას.

მაგ:

1. Learn wisdom by the follies of others.
2. He that seeks trouble never misses.
3. All that glitters is not gold.
4. Lies have short legs.
5. Life is not a bed of roses.

პრედიკატივობის შესაბამისი ინტონაცია და კატეგორია, რომელიც გამოხატულია ანდაზებში, მათ არს ადარებენ რეალობას.

ანდაზების სხვა დამასასიათებელ თვისებად, რომელიც განასხვავებს მათ უბრალო წინადაღებისგან არის ის, რომ ისინი ინარჩუნებენ ორ სახეს – პირდაპირს და ირიბს.

ანდაზებს და ხატოვან გამოთქმებს უბრალო წინადაღებისგან განსხვავებით, ახასიათებს აზრობრივი მოტივირების სხვადასხვა სარისხი.

ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივირების ქვეშ იგულისხმება მისი სინქრონული კავშირი პირდაპირი მნიშვნელობის კომპარინგტებთან.

მოტივირების ხარისხის შესაბამისად ანდაზები დაყოფილია 3 ჯგუფად.

პირველ ჯგუფს ეკუთხნის ის ანდაზები, რომლებიც დღესდღობით არ გამოიყენება პირდაპირი აზრით. მათ ეკუთხნის შემდგენ ტიპის ანდაზები: When sorrows come they come not in single files, but in big battalions; Pleasure has a sting in its tail.

მეორე ჯგუფს წარმოადგენს ანდაზები, რომლებიც ხასიათდება ორნაირი სახით – პირდაპირი და ირიბი. მაგ.: As you sow, you shall mow; as you brew, so must you drink.

მესამე ჯგუფს წარმოადგენს ისეთი ანდაზები და ხატოვანი გამოთქმები, რომლებიც გამოყენებულია მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით. მაგ.: No man is born wise and learned; No man is wise at all times; No living man all things can.

ანდაზების სინტაქსური სტრუქტურის შემდგომი ანალიზი იძლევა დასკვნას, რომ უბრალო წინადადებებისაგან განსხვავებით ანდაზების წინადადების წევრები არასოდეს არიან უბრალო ჩამონათვალის ურთიერთობაში, არამედ ხშირად ედრებიან ან უპირისპირდებიან ერთმანეთს ან გამოსატავენ პირობით-შედეგობრივ ურთიერთობას. მაგ.: February makes a bridge, March breaks it off.

შედარება:

მაგ.: False friends are worse than open enemies.

Two heads are better than one.

დაპირისპირება:

მაგ.: Agues come on horseback, but go away on foot.

One beats the bush, and another catches the bird.

და ბოლოს, ანდაზების დამახასიათებელი თვისება, რომელიც განასხვავებს მათ უბრალო წინადადებისგან არის ის, რომ ანდაზებში არ არის გამოყენებული საკუთარი სახელი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სახელები: Jack and Jill, Adam and Eve, რომლებიც ინგლისურ ენაში გამოიყენება, როგორც ზოგადად განმსაზღვრელი. შედარება: Иван и Мария (რუსულ ენაში).

მაგ.: Every Jack has his Jill.

ყოველ ივანს ჰყავს მისი მარია.

ლიტერატურა

References:

- rusieSvili m. andazis funciuri arsi, semantikuri struqtura, pragmatuli parametrebi (inglisur da qarTul masalaze). disertacia filologiis mecnierebaTa doqtoris samecniero xarisxis mosapoveblad) . Tbilisi. 1999
- Qin W. Racial Characteristics of Proverbs. The 1996 Tokyo International Proverb Forum. Ibid. 1996

3. Cruse, D.A. 1986. Lexical semantics. Cambridge: Cambridge University Press.
4. Frames, fields, and contrasts: new essays in semantic and lexical organization. Hillsdale, NJ: Erlbaum.
5. Lexical-semantic relations: a comparative survey. Edmonton, Canada: Linguistic Research Inc.
6. Quine, W.V.O. (1951). "Two Dogmas of Empiricism". Philosophical Review.

Kakhaber Chinchaladze

Lexical-semantic methods of opposition in English proverbs and figurative expressions

Summary

Proverbs and figurative expressions are communication units. Proverb is shortly transmitted national thinking, which is characterized by direct and indirect (figurative) or only indirect transmission, and grammatically they are sentences of full value.

Most linguists consider proverbs and figurative expressions as a matter of phraseology, because they have such common properties with phraseological units, as sustainability and understanding.

Unlike simple sentences, proverbs and figurative expressions exist in speech as ready-made units, i.e. they are used during the conversation, as has already been prepared and well-known word-merges.

Keywords: Proverb, figurative expression, communication unit, phraseology, lexical-semantic methods, phraseological unit.

Reviewer: Professor Maia Chkheidze, Georgian Technical University

Кахабер Чинчаладзе

Лексико-семантические методы противопоставления в Английских пословицах и образных выражениях.

Резюме

Пословицы и образные выражения – коммуникационная единица. Пословица это кратко излагаемое национальное мышление, которое характеризуется прямым и косвенным (фигуральным) или лишь косвенным изложением, и в грамматике они являются полноценными предложениями.

Большинство лингвистов считают пословиц и образных выражений делом фразеологии, так как они имеют такие общие свойства с фразеологическими единицами, как устойчивость и восприятие.

В отличие от простых предложений, пословицы и образные выражения существуют в устной речи как готовые единицы, то есть они используются во время разговора, как уже готовые и известные словослияния.

Ключевые слова: Пословица, образное выражение, коммуникационная единица, фразеология, лексико-семантический метод, фразеологическая единица.

Рецензент: профессор Майя Чхейдзе, Грузинский технический университет

ლექციი ბიბლიოგრაფიული სოციალური გამარჯვებისთვის

მაია ჩხეიძის განსაზღვრა ყარმატებული სოციალური გამარჯვებისთვის

საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი სოციალური ხასიათის პროექტი იგეგმება, მაგალითად, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა, ანტინარკოტიკული, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო, ოჯახური ძალადობის პრევენციის და ა.შ. ჩვენთან არსებულ სოციალური პროექტების საკომუნიკაციო კამპანიებს ძირითადად ახასიათებთ ერთი და იგივე სახის ნეგატიურ განმტკიცებაზეა აგებული. თუნდაც ყველაზე მარტივ მაგალითად

შეგვიძლია მოვიყვანოთ თამბაქოს პროდუქტები წარწერით „მოწვა კლას“.

სოციალური კამპანიების ერთერთი მთავარი მიზანი ეფექტური დამარტინიზებელი კომუნიკაციის წარმოებაა, რაც თავისთავად რამდენიმე საფეხურს მოიცავს, კერძოდ ინფორმირება, ინფორმირების შედეგად დამოკიდებულებების ჩამოყალიბება და შესაბამისი ქცევის განხორციელება. დამარტინიზებელი კომუნიკაციის ეფექტურობისთვის კი საჭიროა მესიჯის აღეკავატურად განსაზღვრა. ზოგადად, რომ ვოქათ მესიჯი ყოველთვის უნდა ეხმაურებოდეს ადამიანების ოვით-ინტერესს და უნდა ერგებოდეს ყველა სეგმენტს ინდივიდუალურად. ამ მხრივ, სასურველია მესიჯის ჩამოყალიბებისას მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელის გამოყენება. ფსიქოლოგი აბრაამ მასლოუ წერს, რომ ადამიანები რეაგირებენ ისეთ სტიმულებზე, რომელიც მათ მოთხოვნილებებს პასუხობს. მასლოუ მოთხოვნილებათა იერარქიულ სისტემას გვთავაზობს, პირველ საფეხურზე არის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (ჰიმშილი, წყურვილი, სექსუალური ლტოლვა, ძილი), მეორე საფეხურზე – უსაფრთხოების მოთხოვნილებები (ტკივილის, ზიშის, დისკომფორტის არიდების მოთხოვნილებები), მესამე საფეხურზე ვხვდებით სოციალური კავშირებისა და სიყვარულის მოთხოვნილებების დაგმაყოფილებისკენ სწრაფვას (სოციალური მიკუთხნებულობა, იდენტიფიკაციის, სითბოს, სიყვარულის, მარტოობის არიდების მოთხოვნილებები), მეორე საფეხური წარმოადგენს აღიარებისა და დაფასების მოთხოვნილებებს, სადაც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა, ესენია – ა) სიძლიერის, დომინირების, მიღწვის, შეჯიბრის, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები და ბ) პატივისცემის, ყურადღების, დაფასების, აღიარების მოთხოვნილებები, ბოლო მეტეუთ საფეხური კი არის თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებების ეტაპი (ადამიანის უნარ-შესაძლებლობების, პიროვნული პორტნიალის მაქსიმალური რეალიზაციის მოთხოვნილებები). ყოველი შემდეგი საფეხურის მოთხოვნილებათა დაგმაყოფილება მანამდე არსებული საფეხურის დაგმაყოფილების შემდეგ ხდება მხოლოდ და მხოლოდ. მასლოუს იერარქიული სისტემა გვეხმარება ავსნათ, რატომ ხდება, რომ უმცირესობათა და დაბალი შემოსავლების ქქონე ადამიანების ინფორმირება შიდსის შესახებ უმეტესად წარუმატებებლად მთავრდება, მათთვის ყოველდღიური პრობლემები და სიღარიბით გამოწვეული თავისტკივილი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე შიდსის თავიდან აცილებაზე ზრუნვა. სოციალურმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ მესიჯით დარწმუნების მიღწვევა დიდად არის დამოკიდებული

აუდიტორიის მოთხოვნილებებისა და ინტერესების სწორი იდენტიფიცირებაზე.

დარწმუნების შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე კომუნიკაციის აღქმულ სანდოობას, ის ეფექტური კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა. როგორც წესი, მიღებული შეტყობინება მჭიდროდ არის დაკავშირებული წყაროსთან, ანუ ადამიანთან როგორმაც გაავრცელა საჯაროდ ეს თუ ის გზაენილი. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როცა აუდიტორიის მიერ ხდება მესიჯის იმგვარად გაშინაგნება, რომ ხშირად წყაროსა და მისი შეტყობინებასთან კავშირის შესახებ ავიწყდებათ, ამ მოვლენას მიძინების უფლები ეწოდება. მიუხედავად ამისა, იმისთვის რომ სამიზნე სევმენტმა მიიღოს მესიჯი და შედეგი მოყვეს კომუნიკაციას კომუნიკატორი აუცილებლად სანდო პირად უნდა იქნას აღქმული.

სანდოობაში იგულისხმება კომპეტენტურობა, საიმედოობა, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წყაროს მიმზიდველობა.

აღქმული კომპეტენტურობა

ადამიანების ექსპერტებად აღქმა ორგვარი მეთოდით ხორციელდება, ერთ-ერთი მარტივი მეთოდი არის იმსჯელო საჯაროდ შენი სამიზნე აუდიტორიის აზრების შესატყვისად, ანუ მოახდინო იმის დემონსტრირება, რომ ისე ფიქრობ, როგორც ისინი, მეორე გზა არის წარსდგე აუდიტორიის წინაშე, როგორც ამ კონკრეტულ საკითხში ძალიან გათვიცნობიერებული და მცოლე. მაგალითად, კბილის ჯაგრისი რეკლამირებისას, გაცილებით ეფექტურია, კომუნიკატორის როლში სტომატოლოგის გამოყენება, ვიდრე სტუდენტისა, რომელმაც რეფერაცი დაწერა პირის ღრუს ჰიგიენის საკითხზე. კომპეტენტურად აღქმის აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში დარწმუნებული საუბარი, ყოველგვარი ყოფილის და დაბრეულობის გარეშე.

აღქმული საიმედოობა

საუბრის მანერა გადამწყვეტია, იმაზე თუ რამდენად საიმედო და სანდო ადამიანად იქნება აღქმული კომუნიკატორი. მკვლევარებმა გორდონ ხემსლიმ და ენტონი დუბმა აღმოაჩინეს, რომ თუ ვიდეოჩანაწერში მოწმე პირდაპირ ამყარებს თვალებით კონტაქტს და არ იყერება მირს, მისი ჩვენება აღიქმება სანდოდ.

კომუნიკატორისადმი ნდობა მაღალია, თუ აუდიტორია დარწმუნდება, რომ მისით მანიპულირება არ არის კომუნიკაციის მიზანი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რას მიაწერს (რაზე

გააკეთებს ატრიბუციას) აუდიტორია, კომუნიკატორის გამოსვლებს, მიაწერს იმას, რომ ის საკუთარი ინეტერესების დამცველია და გამორჩენა აქვს კომუნიკაციით თუ პირიქით. ასევე აღმოჩნდა, რომ გულწრფელად კომუნიკატორი აღიქმება მაშინ როცა ის სწრაფად საუბრობს, სწრაფად გამოთქმული შეტყობინება უფრო დამაჯერებლად აღიქმება. მაგალითად, ლოს ანელების მაცხოვრებლებს ასენინებდნენ ჩანაწერს თემაზე “ყავის მოხმარების საშიშროებები ჯანმრთელობისთვის” და აღმოჩნდა რომ გულწრფელად, ობიექტურად, ერუდირებულად ითვლებოდა კომუნიკატორის განაცხადი, რომელიც სწრაფად მეტყველებდა (დაახლოებით 190 სიტყვა წუთში). მკვლევარებს დააინტერესა კომუნიკატორის სანდოდ აღქმა განპირობებული იყო სწრაფი მეტყველებით უბრალოდ, თუ ამ დამოკიდებულებაზე გავლენას განაპირობებდა ტონი და ამაღლებული ინტენსიობა საუბრის დროს.

მარკეტილოგმა ჯეიმს მაკლაკენმა თავისი კვლევების შედეგად დაადგინა, რომ სანდოდ და ობიექტურ აღქმაზე გავლენას სწორედ საჭრის ტემპი აძლევს.

მიმზიდველობა

რეკლამაში კომუნიკატორის მომხიბლელობა და მიმზიდველობა ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ხშირად ამ ფაქტორის ზემოქმედებამ შესაძლოა არგუმენტების სიძლიერე განაირაღოს და გაცილებით ძლიერი გავლენა მოახდინოს კომუნიკატორის აღქმულმა მიმზიდველობამ.

მიმზიდველობაში ორი ასპექტი გამოიყოფა, ერთი არის ფიზიკური სილამაზე, ხოლო მეორე – მსგავსება. ადამიანები მიღრებილნი არიან მეტი სიმპატია ქონდეთ მათ მიმართ, ვინც მათი მსგავსია. ასევე, ჩვენი მსგავსი ადამიანების გავლენის ქვეშ უფრო მარტივად გაქცევით. ამ კუთხით საინტერესო კვლევა ჩატარდა, აფრომაჟერიკელ აბიტურიენტებს აუკრებინებდნენ რეკლამის ვიდეოჩანაწერს კბილების მოვლასთან დაკავშირებით, მეორე დღეს როცა სტომატოლოგმა გასინჯა ისინი, იმ აბიტურიენტებს უფრო მოუარეს კბილებს, ვინც აფრომაჟერიკელი ექიმის რჩევა მოისმინა ჩანაწერში. როგორც ვხედავთ, ადამიანები რეაგირებენ იმ შეტყობინებებზე, რომელიც მათივე სოციალური ჯგუფის წარმომადგენლისგან მოდის.

სავარაუდოდ გაცილებით უფრო ევექტური იქნება სოციალური კამპანიების დაგეგმვისას პოზიტიური განმტკიცების

გამოყენება, ამ მიზნით ოვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ხუთი ფოტოსური ჯგუფური დისტანცია.

კვლევის სამიზნე სეგმენტს წარმოადგენდნენ:

- 19-25 წლის ასაკის სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ აქტიური, სტუდენტური ცხოვრებით;
